2011 წელი, 2 - 8 ივნისი
ფასი 1 ლარი

# ახალი განათლება

№21 (535) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

## 1 ივნისი
## ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა



## საატესტატო გამოცდები – 2011 დასრულდა



## გთავაზობთ მეთორმეტეკლასელთა შთაბეჭდილებებს

გვერდი 3



## მერაბ ბერძენიშვილის სტუდია „მუზა“

გთავაზობთ ახალ საზაფხულო საგანმანათლებლო პროექტს, რომელიც მოიცავს:

- ხელოვნების ისტორიის შესწავლას (შემეცნებითი ფილმების ჩვენება ხელოვნებაზე);
- ხატვას (გრაფიკა, ფერწერა);
- უცხოურ ენათა დაუფლებასა და მწერლობის გაცნობას; (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური, რუსული);
- მოზარდებისათვის ქართული მწერლობის გაცნობასა და წაკითხულის გააზრებას;
- საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლას (გასვლით ექსკურსიებს თბილისსა და მის გარშემო ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად);
- ტექნიკურ საგნებში მომზადებას სპეციალური პროგრამით.

**სწავლების პროცესი წარიმართება სტუდია „მუზას“ აუდიტორიებსა და ღია ცის ქვეშ, ბაღში.**

მსურველებს შესაძლებლობა აქვთ ამოირჩიონ ერთი ან რამდენიმე დისციპლინა.

საკონტაქტო ტელეფონი: 871 23 53 53


გამოცდების ეროვნული ცენტრი

# 2011 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების, საერთო სამაგისტრო გამოცდისა და მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარების განრიგი

## ერთიანი ეროვნული გამოცდები

- **30 ივნისი და 1 ივლისი** (პირველი სესია, მეორე სესია) – ქართული ენა და ლიტერატურა;
- **4 და 5 ივლისი** (პირველი სესია, მეორე სესია) – ზოგადი უნარები;
- **6 ივლისი** (მეორე სესია) – უცხოური ენა (ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა);
- **7 ივლისი და 8 ივლისი** (მეორე სესია) – უცხოური ენა (ინგლისური ენა);
- **11 ივლისი** (მეორე სესია) – უცხოური ენა (რუსული ენა);
- **12 ივლისი** (პირველი სესია, მეორე სესია) – ისტორია;
- **13 ივლისი** (პირველი სესია, მეორე სესია) – მათემატიკა;
- **14 ივლისი** (პირველი სესია) – ლიტერატურა;
- **15 ივლისი** (პირველი სესია) – სტუდენტთა საგრანტო კონკურსი;
- **18 ივლისი** (მეორე სესია) – ბიოლოგია;
- **19 ივლისი** (მეორე სესია) – გეოგრაფია;
- **20 ივლისი** (პირველი სესია) – ქიმია;
- **21 ივლისი** (პირველი სესია) – ფიზიკა.

## საერთო სამაგისტრო გამოცდა

- **14 ივლისი** (მეორე სესია) – წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა;
- **15 ივლისი** (მეორე სესია) – ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა.

## მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდა

- **6, 7 და 8 ივლისი** – უნარები;
- **11 ივლისი** – დაწყებითი (I-IV) კლასების პედაგოგებისთვის;
- **11 ივლისი** – ისტორია;
- **11 ივლისი** – ქიმია;
- **14 ივლისი** – ბიოლოგია;
- **15 ივლისი** – ფიზიკა;
- **15 ივლისი** – სამოქალაქო განათლება;
- **18 ივლისი** – ქართული ენა და ლიტერატურა;
- **18 ივლისი** – გეოგრაფია;
- **19 ივლისი** – მათემატიკა;
- **20 და 21 ივლისი** – გერმანული, ფრანგული, ინგლისური და რუსული ენები.


# მოსწავლეთა და აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

## თუ გსურთ, მიიღოთ სრულფასოვანი განათლება, მოგვმართეთ ჩვენ!

საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის ბაზაზე ფუნქციონირებას იწყებს ლიცენზირებული სკოლა-ლიცეუმის X-XI-XII კლასები (სკოლა-ლიცეუმი დაარსდა 1995 წელს). 2010-2011 ს/წელს სკოლა-ლიცეუმს უკვე მე-14 გამოშვება ჰყავს. აღნიშნული სკოლა-ლიცეუმის ყველა კურსდამთავრებულმა წარმატებით ჩააბარა და დაამთავრა მისთვის სასურველი უმაღლესი სასწავლებელი. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებმაც შეძლეს მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელება უცხო ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში.

სასწავლო პროცესს წარუძღვებიან ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც არიან გრიფირებული სახელმძღვანელოების ავტორები და აკრედიტებული სასერტიფიკაციო პროგრამების ავტორები და ტრენერები.

სკოლა-ლიცეუმის კურსდამთავრებულები მიიღებენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სრული საშუალო განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს – ატესტატს განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი კანონის შესაბამისად.

სკოლის დირექტორი **ზურაბ აღდგომელაშვილი** – საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის მათემატიკის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, პითაგორას საზოგადოების პრეზიდენტი (მის მიერ, 2001 წელს, დაარსებულ იქნა ნიჭიერ ბავშვთა ყოველწლიური მათემატიკური ტურნირი „პითაგორას თასი“. ავტორია არაერთი დამხმარე კლასგარეშე სახელმძღვანელოსი. მისი ხელმძღვანელობით, სხვადასხვა წლებში, მოსწავლეებმა დაამუშავეს ნაშრომები, რომლებმაც ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენციებიდან ჩამოიტანეს: IMPC 2005 – ოქროს მედალი; IMPC 2006 – ოქროს მედალი; ICYS 2008 – ერთი ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედლები; ICYS 2009 – ვერცხლის მედალი და თითოეულმა თემამ ჟიურის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა; 2011 წელს, ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა VII რესპუბლიკურ ოლიმპიადაში, მათემატიკაში, მისი ხელმძღვანელობით მომზადებულმა ორივე პროექტმა პირველი ადგილი მოიპოვა).

**ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:**

**მისამართი: თბილისი, დ. აღმაშენებლის №180, ოთახი15**

(დინამო სტადიონთან, მუსკომედიის თეატრის გვერდზე)

8(77) 72-30-49; 8(77) 25-71-06; 8(99) 90-75-65; 34-25-85 ($10^{00}$-$13^{00}$); 79-36-93 ($18^{00}$-$24^{00}$).


თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა სასახლის ლიტერატურული სტუდიის შემოქმედ მოსწავლეთა კრებული „სტუდიელები“, რომელშიც 57 ავტორის პოეტური და პროზაული ნაწარმოებებით წარმოდგენილია „სტუდიელთა“ სამი თაობა: უფროსკლასელი სტუდიელები, სტუდენტი სტუდიელები და „ცეროდენა კალმოსნები“, კრებულის შემდგენელია (პასუხისმგებელი გამოცემაზე) პედაგოგი **გული სალუქვაძე**, მხატვარი – **დათო ნადირაძე**.




22 მაისს სასახლის სარკეებიან დარბაზში შედგა კრებულის პრეზენტაცია. სტუმრად მობრძანდნენ: სიონის ტაძრის დეკანოზი, სასულიერო აკადემიის პრორექტორი **მამა ბესარიონი (ცინცაძე)**; საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის საკონკურსო პროგრამების ხელმძღვანელი **გიორგი ფარეშიშვილი**, პოეტები: **ერეკლე საღლიანი, ნოდარ ჯალაღონია**, მხატვარი **ალექსანდრე ციხელაშვილი**, ფოტოხელოვანი **იური მეჩითოვი**, სტუდიის აღზრდილები: **დათო ბარბაქაძე, ნინო ქუთათელაძე**, ჟურნალისტები, პედაგოგები, პოეზიის მოყვარულები.

კრებულის ავტორებმა თავიანთი შემოქმედება გააცნეს ფართო აუდიტორიას.

სტუდიელებს წიგნები და სხვადასხვა საჩუქრები უსახსოვრეს: თბილისის მერიის მთავარმა ბიბლიოთეკამ (გენერალური დირექტორი – ქალბატონი **ციალა კალმახელიძე**), საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდულმა ცენტრმა, პოეტებმა: დათო ბარბაქაძემ და ნოდარ ჯალაღონიამ, მხატვარმა ალექსანდრე ციხელაშვილმა, ფოტოხელოვანმა იური მეჩითოვმა.

ხონის რაიონის ნამაშევის საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

**ეკატერინე სამხარაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# ქართული ენის შესწავლის მოტივაცია საზოგადოებაში ინტეგრირებაა

სახელმწიფო პროგრამა, რომლის სახელწოდებაა „კვალიფიციური ქართული ენის სპეციალისტები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლებში“ (საკმაოდ დიდი სახელწოდების გამო მას უფრო მარტივად „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენას“ უწოდებენ), ხორციელდება ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, კახეთში და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის სწავლების ხელშეწყობასა და ქართული ენის მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას ისახავს მიზნად. ასეთ რეგიონებში, ქართული ენის სწავლების მხრივ, საკმაოდ რთული ვითარებაა. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების 30% თავად არ ფლობს საკომუნიკაციო ქართულს.

2009 წელს პრეზიდენტმა გამოთქვა ინიციატივა, შერჩეულიყვნენ კვალიფიციური მასწავლებლები, რომლებიც მივლინებულები იქნებოდნენ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლებში და ასწავლიდნენ ქართულს, მათი ხელფასი კი იქნებოდა 1000 ლარი.

პროექტის შესახებ უფრო დაწვრილებით გვესაუბრება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეთნიკური უმცირესობების კოორდინატორი **მაია ჭილაშვილი**.



**– როდის დაიწყო და ვინ ახორციელებს პროექტს „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“?**

– 2009 წელს შევიმუშავეთ პროგრამა და მას ახორციელებს მასწავლებელთა პროფესული განვითარების ეროვნული ცენტრი. პროგრამის ფარგლებში, ყოველ წელს, ცხადდება კონკურსი. ამ ორი წლის განმავლობაში (2009-2010) მონაწილეობა მიიღო 800-მდე ადამიანმა და მათ შორის ტესტირების და გასაუბრების საფუძველზე შეირჩა 64 მასწავლებელი.

ახლად არჩეული მასწავლებლები გადიან ტრენინგებს: „ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მეთოდიკა“, „ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობა“, „აზერბაიჯანული ან სომხური ენის შემსწავლელი სწრაფი კურსი“ და მხოლოდ ამის შემდეგ ნაწილდებიან სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში. ამ სოფლებში მოსახლეობის თითქმის 100% სომეხი ან აზერბაიჯანელია; ქართული მათთვის უცხო ენაა, მოსახლეობის დიდ ნაწილს არც რუსული ესმის. აქედან გამომდინარე, ახლად ჩასულ მასწავლებელს ელემენტარულ დონეზე მაინც მოეთხოვება ადგილობრივი ენის ცოდნა, რათა თემთან ურთიერთობა დაამყაროს.

**– რა სხვაობაა ახალსა და წლების წინ განხორციელებულ „მომავალი იწყება დღეს“ პროექტებს შორის?**

– ჩვენი პროგრამის საფუძველზე შერჩეული მასწავლებლები იგზავნებიან შედარებით მაღალკონტინგენტიან სკოლებში (ვცდილობთ, შევარჩიოთ სკოლები, სადაც 200-ზე მეტი ბავშვი სწავლობს), ეს არ იყო გათვალისწინებული „მომავალი იწყება დღეს“ პროგრამის ფარგლებში, ერთ მცირეკონტინგენტიან სკოლაში ხშირად 2 მასწავლებელი იყო გაგზავნილი, ჩვენ კი ვცდილობთ, უფრო დიდი მასშტაბები მოვიცვათ. ასევე, პროგრამაში მონაწილე მასწავლებლები, სკოლებში ქართული ენის სწავლების პარალელურად, ატარებენ ტრენინგებს მასწავლებლებისთვის, ორგანიზებას უწევენ სხვადასხვა ღონისძიებას, რომლის მიზანი თემში ქართული ენის შესწავლის მოტივაციის ამაღლება და სახელმწიფო პროგრამაში ჩართულობის გაზრდაა.

ახალი პედაგოგის ჩასვლის შემდეგ სოფლებში ენის შემსწავლელთა ჯგუფი დგება – „ქართული ენის კლუბი“. აქ იკრიბებიან: აბიტურიენტები, მასწავლებლები, მშობლები და თემის სხვა წარმომადგენლები. საუბრობენ ქართულად, ერთად ადგენენ ტექსტებს, ვარჯიშობენ ზმნის უღლებაზე, ზოგ სოფელში, მსურველთა სიმრავლის გამო, მასწავლებელს რამდენიმე ჯგუფის დაკომპლექტება უწევს.

კლუბების მოსაწყობად და სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა პროგრამაში ჩართულ სკოლებს გადასცა საჭირო ინვენტარი, აუდიო-ვიდეოაპარატურა, სასწავლო-ვიზუალური მასალა და საკანცელარიო ნივთები. როგორც ჩემთვის ცნობილია, მსგავსი ფაქტორები პროექტში „მომავალი იწყება დღეს“ გათვალისწინებული არ იყო.

**– რა შეღავათები და უპირატესობები აქვთ პროექტის მონაწილე პედაგოგებს, გაივლიან თუ არა ისინი სერტიფიცირებას?**

– 2011 წელს გვსურს, რომ გასაუბრების შედეგად შევარჩიოთ სერტიფიცირებული მასწავლებლები. პროგრამა „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ საგანმანათლებლო სისტემაში ყველაზე მაღალ ანაზღაურებას სთავაზობს მასწავლებლებს. როგორც გითხარით, მასწავლებლები სახელმწიფო პროგრამიდან იღებენ ხელფასს 1000 ლარს, რასაც საათობრივი ანაზღაურება ემატება. მიმაჩნია, რომ ეს სერტიფიცირებული მასწავლებლების მოტივაციას უფრო აამაღლებს.

პედაგოგები, რომლებმაც 2009-2010 წლებში, ჩვენი პროგრამის ფარგლებში, წარმატებით გაიარეს ტესტირება და გასაუბრება, მუშაობას 2014 წლამდე გააგრძელებენ.

**– როგორია შედეგები, რაიმე ცვლილება ხომ არ იგეგმება შედეგებიდან გამომდინარე და როდემდე გაგრძელდება პროექტი?**

– შედეგები მართლაც შთამბეჭდავია. 2009 წელს, პროგრამის დაწყებისთანავე, ყველა ის სოფელი მოვიარე, სადაც ჩვენი პროგრამის მონაწილეები იმყოფებოდნენ. ხშირად ბავშვებს ელემენტარული კითხვები – „რა გქვია?“ და „როგორ ხარ?“ – არ ესმოდათ. ახლა კი, საატესტატო გამოცდაზე ამავე ბავშვებმა 7-დან დაწყებული 9.8 ქულამდე მოიპოვეს. თუ ჩახვალთ ასეთ სოფლებში, ნახავთ, რომ ბავშვები მონაწილეობენ დიალოგში, ესმით თქვენი და ადეკვატურ პასუხსაც გცემენ, რაც 2 წლის წინ სრულიად წარმოუდგენელი იყო.

რაც შეეხება პროგრამის ხანგრძლივობას, ჯერჯერობით, არ არის განსაზღვრული მისი დასრულების თარიღი, ეს დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე.

**– ხომ არ გაჩენილა დამატებითი ინიციატივა, რასაც არ მოიცავდა პროგრამაში გათვალისწინებული აქტივობები?**

– 2010 წელს პროგრამაში ჩართულ ყველა სკოლაში დაიგეგმა და განხორციელდა „საზაფხულო სკოლის“ პროექტი. მასწავლებლებმა წინასწარ ჩამოაყალიბეს მოსწავლეთა ჯგუფები და ივლისის თვეში თავისუფალ რეჟიმში (თამაშის, ექსკურსიების, ღონისძიებების ჩატარების გზით) გააგრძელეს ქართული ენის სწავლება.

სოფელ „აწყურში“ სპეციალურად მოწყობილ საბავშვო ბანაკში გაემგზავრა პროგრამის მონაწილე 6 მასწავლებელი და აზერბაიჯანელი და სომეხი ეროვნების 30 მოსწავლე. ბანაკში მათ ქართველი ბავშვები დახვდნენ. ერთად გართობის, ღონისძიებებში მონაწილეობის და დამეგობრების გზით, ქართული ენის სწავლებისა და სწავლის პროცესი უფრო ეფექტურად მიმდინარეობს.

2011 წელს დაგეგმილია საზაფხულო სკოლების მასშტაბების გაზრდა და უფრო მეტი მოსწავლისა და მასწავლებლის ჩართვა გასვლითი ბანაკების პროექტებში.



**– პრეზიდენტი არაქართულენოვან სკოლებში ბილინგვური სწავლების ხელშეწყობის ინიციატივით გამოვიდა, რას იტყვით ამის შესახებ?**

– წელს იგეგმება ბილინგვური პროგრამის ამოქმედება, რომლის ფარგლებშიც გრიფირებული სახელმძღვანელოები სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე ბილინგვურად გადაითარგმნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო საგნებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეები ტექსტების 30%-ს ქართულ ენაზე ისწავლიან.

ბილინგვური სწავლების მეთოდი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია აპრობირებული და ის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია. ეს არის საუკეთესო მექანიზმი იმისათვის, რომ ბავშვებმა ქართული ენა უკეთ შეისწავლონ. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა ქართული ენა მასობრივად უნდა შეისწავლონ. სამინისტროს მიაჩნია, რომ მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლა საკმარისი არ არის. არაქართულენოვანმა მოსახლეობამ აუცილებლად უნდა იცოდეს სხვა საგნების ტერმინოლოგია ქართულად, რადგან ეს მათ სამომავლოდ საზოგადოებაში ინტეგრირების საშუალებას მისცემს.



ბილინგვური სწავლების წარმატებით დანერგვის მიზნით, არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლები უფასოდ გადამზადდებიან ქართულ ენაში. ამასთანავე, ქართული ენის ოთხი არსებული სახლის გარდა, დამატებით, კიდევ რვა გაიხსნება, სადაც მასწავლებლების გადამზადება სპეციალურად შექმნილი პრგრამით განხორციელდება. ქართული ენის სახლში დაწყებითი სასწავლო კურსის გავლის შემდეგ, მასწავლებლები ქართული ენის ინტენსიურ კურსს ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში გაივლიან. მოხდება იმ მასწავლებლების წახალისება, რომლებიც გაკვეთილებს ბილინგვურად ჩაატარებენ. ისინი ხელფასზე 200-ლარიან დანამატს მიიღებენ.



რეგიონებში პედაგოგად მუშაობის უფლება ექნებათ ბაკალავრიატის ხარისხის მქონე ახალგაზრდებს, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს. პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ, მაგისტრატურაში სწავლის ანაზღაურებას, ხოლო დოქტორანტებისთვის კრედიტების ჩათვლას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საკუთარ თავზე აიღებს. რეგიონში გამგზავრებამდე და მუშაობის დაწყებამდე მათ სპეციალური ტრენინგ-პროგრამის გავლა მოუწევთ.

*ესაუბრა*
***ანა ფირცხალაიშვილი***

## ინფორმაცია

* * *



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** თბილისის №202 უსინათლო ბავშვთა სკოლა-პანსიონის მოსწავლეებს ბავშვთა დღე მიულოცა და საჩუქრები გადასცა.

თბილისის №202 უსინათლო ბავშვთა სკოლაში 50 ბავშვი სწავლობს, მათგან 23 პანსიონური მომსახურებით სარგებლობს. ეს სკოლა და ზოგადად, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებები სამინისტროს განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ არიან. მინისტრის გადაწყვეტილებით, უახლოეს მომავალში №202 სკოლის რეაბილიტაცია დაიწყება, მოწესრიგდება და ბავშვთა საჭიროებებს მოერგება სველი წერტილები და სხვა კომუნიკაციები. ახალი სასწავლო წლიდან ამ სკოლის მოსწავლეები განახლებულ გარემოში გააგრძელებენ სწავლას.

№202 სკოლას სამინისტრომ უკვე გადასცა ბრაილის საბეჭდი მანქანა, ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი სახელმძღვანელოები და ტაქტიკური სასწავლო მასალები. თანამედროვე აპარატურასთან სამუშაოდ სამინისტრომ ამ სკოლის პედაგოგებიც გადაამზადა. სკოლას ასევე გადაეცა სპეციალურად სუსტი მხედველობის ბავშვებისთვის განკუთვნილი წასაკითხი აპარატურა, რომელიც მორგებულია ნებისმიერი ბავშვის მდგომარეობაზე და აქვს სხვადასხვა მანიპულაციის საშუალება, როგორიცაა ტექსტის გადიდება, ფერის შეცვლა და მრავალი მნიშვნელოვანი ფუნქცია. უსინათლო ბავშვებს გადაეცათ სხვადასხვა სახის გამადიდებელი ლუპები.

უსინათლო ბავშვთა სკოლა-პანსიონის პედაგოგები სწავლასთან ერთად, ზრუნავენ თავისი აღსაზრდელების სოციალურ ადაპტაციასა და საზოგადოებრივ საქმიანობებში მათ ჩართულობაზე. ამ სკოლის მოსწავლეები ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადასა და სხვადასხვა ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობენ.

წელს სკოლას ოთხი მეთორმეტეკლასელი ჰყავს, ისინი საატესტატო გამოცდებში მონაწილეობენ და შემდეგ სწავლის გაგრძელებას გეგმავენ. ამ სკოლის კურსდამთავრებულები ერთიან ეროვნულ გამოცდებს ყოველწლიურად წარმატებით აბარებენ. მათთვის საგამოცდო მასალა ბრაილის შრიფტზეა ადაპტირებული.

* * *



ქართული ტრადიციული ეროვნული სამოსის მეცნიერულად შესწავლის მიზნით, სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ახალ საგრანტო კონკურსს აცხადებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ **კოკა სეფერთელაძემ** და სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა **სულხან სისაურმა** კონკურსი დღეს ეთნოგრაფიულ მუზეუმში ტრადიციულ ქართულ ჩოხებში გამოაცხადეს.

კვლევის მიზანია ტრადიციული ეროვნული სამოსის ისტორიული, ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, სოციალური, სამეურნეო და სხვა ასპექტების კვლევის ხელშეწყობა, და, რაც მთავარია, ქართველოლოგიური კვლევების დაფინანსებაში ბიზნესსტრუქტურების მონაწილეობის სტიმულირება.

სამეცნიერო კვლევის გარდა კონკურსს შედეგად უნდა მოჰყვეს ეროვნული სამოსის შესახებ ილუსტრირებული ენციკლოპედიური სახის ქართულ-ინგლისური გამოცემა და კვლევის შედეგების პოპულარიზაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

კონკურსი ქართული ტრადიციული სამოსის მეცნიერული კვლევის ხელშესაწყობად პირველად იმართება. კვლევის მაქსიმალური ხანგრძლივობა 18 თვეა, ხოლო ფონდიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 70 ათას ლარს.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ტრადიციული სამოსის მიმართ საზოგადოების ინტერესი ყოველთვის ძალზე მაღალია, დღემდე არ მომხდარა მისი სამეცნიერო შესწავლა. კვლევის შედეგად გამოცემული ენციკლოპედია ძალზე ინფორმატიული იქნება ქართული კულტურით დაინტერესებული საზოგადოებისთვის, მათ შორის უცხოელი სტუმრებისთვის, სპეციალისტებისთვის კი სამაგიდო წიგნი გახდება.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ „თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტისა" და „საქართველოს ტურიზმის საერთაშორისო აკადემიის" იურიდიული და ფინანსური საქმიანობა შეისწავლა, რის შედეგად დარღვევები გამოვლინდა. ამასთანავე, უნივერსიტეტებში მოღვაწე რიგი პიროვნებების მხრიდან განხორციელებული იყო ისეთი ქმედებები, რომლებიც შეიცავდა სისხლის სამართლის დანაშაულების ნიშნებს. შემოწმების მასალები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაუგზავნა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს.

გადაგზავნილ მასალებზე დაყრდნობით, ჩატარებული გამოძიების საფუძველზე, თაღლითობისა და ყალბი დოკუმენტაციის დამზადება-გასაღების ფაქტზე, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ, დაკავებულია „თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ყოფილი დეკანი და „საქართველოს ტურიზმის საერთაშორისო აკადემიის" ყოფილი პრორექტორი **დავით კუპრაშვილი**, ტურიზმის საერთაშორისო აკადემიის ყოფილი რექტორი **ვლადიმერ გუდაძე**, „თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის" დამფუძნებელი **ლაშა კანდელაკიშვილი** და ამავე უნივერსიტეტის ყოფილი პრორექტორი და ამჟამინდელი სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი **ალლა მეტრეველი**.

გამოძიებით დადგინდა, რომ ვლადიმერ გუდაძე და დავით კუპრაშვილი „საქართველოს ტურიზმის საერთაშორისო აკადემიის" სახელით, ლიცენზიის გარეშე, ახორციელებდნენ საგანმანათლებლო საქმიანობას, რაც საქართველოს „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის სრული უგულვებელყოფა და უხეში დარღვევაა. აღსანიშნავია, რომ თავის დროზე ზემოხსენებული სასწავლებელი შეიქმნა, როგორც „რუსეთის ტურიზმის აკადემიის" თბილისის ფილიალი, თუმცა 2006 წელს რუსეთის სათავო ოფისმა თბილისის ფილიალის ლიკვიდაცია განახორციელა. ამის შემდეგ „საქართველოს ტურიზმის საერთაშორისო აკადემიის" ხელმძღვანელებმა დამოუკიდებლად მოქმედება გადაწყვიტეს. ვ. გუდაძე და დ. კუპრაშვილი სტუდენტებს არწმუნებდნენ, თითქოსდა ისინი სწავლობდნენ უმაღლეს ლიცენზირებულ სასწავლებელში, რომლის დიპლომის მიღების შემდეგაც მსოფლიოს ასამდე ქვეყანაში დასაქმებას შეძლებდნენ, სანაცვლოდ სტუდენტებისაგან რამდენიმე წლის მანძილზე სხვადასხვა ოდენობის სწავლის საფასურს სისტემატურად იღებდნენ. 2008 წელს, როცა კურსდამთავრებულებისათვის დიპლომების გადაცემის დრო დადგა, სტუდენტებს საგამოძიებო ორგანოებისათვის რომ არ მიემართათ და ვ. გუდაძისა და დ. კუპრაშვილის თაღლითური საქმიანობა არ გამოეაშკარავებინათ, ეს უკანასკნელები დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ „თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის" დამფუძნებელ ლ. კანდელაკიშვილს და მასთან შეთანხმებით „ტურიზმის საერთაშორისო აკადემიის" კურსდამთავრებულებზე „თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის" დიპლომები გასცეს, თუმცა ზემოხსენებულ სტუდენტებს ამ უნივერსიტეტში საერთოდ არ უსწავლიათ.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ შპს „თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ლაგოდეხის ფილიალში ირიცხებოდა აზერბაიჯანის 900 მოქალაქე, რომელთგანაც 400-მდე სტუდენტს საქართველოს საზღვარი დღემდე არც კი გადმოუკვეთავთ და მათი კურსიდან კურსზე გადაყვანა საგამოცდო უწყისების გაყალბების გზით ხდებოდა. უწყისებს ხელს აწერდა მაშინდელი პრორექტორი და ამჟამინდელი სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი ა. მეტრეველი.

წინასწარი გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე და 362-ე მუხლებით, რაც, საერთო ჯამში, ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან შვიდ წლამდე ვადით.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ირინე ქურდაძე** ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლაში სასწავლო წლის დამამთავრებელ საზეიმო ღონისძიებებს დაესწრო. ღონისძიებაში ბრიტანული სკოლის ბაქსვუდის საგანმანათლებლო ქსელის დირექტორი **ჯაილს სატონი** და სხვა ბრიტანელი სტუმრებიც მონაწილეობდნენ.

ტრადიციულად, სასწავლო წლის ბოლოს, ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლაში წლის შემაჯამებელი ღონისძიებები იმართება, მათ შორის სპორტული მარათონი, რომელიც წელს კუს ტბაზე გაიმართა და მასში, V-დან XI-კლასის ჩათვლით, ყველა მოსწავლე მონაწილეობდა. მოწვეულ სტუმრებს მოსწავლეებმა საზეიმო წარმოდგენებიც აჩვენეს, ღონისძიების ბოლოს კი, დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე სხვადასხვა ნიშნით გამორჩეული და წარმატებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ.

ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა დიდი ბრიტანეთისა და საქართველოს აკადემიური და არააკადემიური დისციპლინების საუკეთესო ტრადიციებისა და გამოცდილების სინთეზს სთავაზობს თავის აღსაზრდელებს. გარდა იმისა, რომ სკოლა მაღალი ხარისხის ზოგად განათლებას იძლევა, აქ განსაკუთრებული ყურადღება დისციპლინირებული და კანონმორჩილი თაობის აღზრდას ეთმობა.

სკოლის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს კრიტიკულად მოაზროვნე და ეთიკურად ჩამოყალიბებული თაობის აღზრდა წარმოადგენს, რომელიც თავის დროსა და ცოდნას საკუთარ



პროფესიულ განვითარებას მოახმარს. სკოლის მთავარ უპირატესობას თითოეული მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომა წარმოადგენს. მდიდარი საერთაშორისო გამოცდილება, მოტივირებული, პროფესიონალი პედაგოგები, კეთილგანწყობილი ადმინისტრაცია, მუდმივად განახლებადი და განვითარებადი სასწავლო პროგრამა მაღალი შედეგების მიღების შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ნოდარ სურგულაძე**, საქართველოს პირველი ლედი **სანდრა რულოვსი** და აშშ-ს ელჩი საქართველოში **ჯონ ბასი** გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის 2011 წლის კურსდამთავრებულთათვის დიპლომების გადაცემის ცერემონიალს დაესწრნენ. მინისტრის მოადგილემ სკოლის დამთავრება მიულოცა ახალგაზრდებს და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

ამერიკულ აკადემიას წელს 53 მეთორმეტეკლასელი ამთავრებს, ბევრი მათგანი სწავლას აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და ევროპის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში განაგრძობს, მაგრამ საქმიანობის დაწყებას ისინი მშობლიურ ქვეყანაში გეგმავენ.

ამერიკული აკადემია 2001 წელს ქართველმა ბიზნესმენმა, გივი ზალდასტანიშვილმა დააარსა. მიმდინარე 2011 წელი ამერიკული აკადემიის საიუბილეო წელია – სკოლას ათი წელი შეუსრულდა. აკადემიას 290 კურსდამთავრებული ჰყავს, მათი უმრავლესობა ჰარვარდის, იელის, პრინსტონის, კოლუმბიის, ბრაუნისა და ემორის უნივერსიტეტებში, ამერიკის სამხედრო და საზღვაო აკადემიებში, მილანში – ბოკონის უნივერსიტეტში, პარიზში – ამერიკის უნივერსიტეტში, ლონდონში – ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლაში, შოტლანდიაში – სენტ ენდრიუსის, ედინბურგის უნივერსიტეტებსა და მრავალ სხვა ამერიკისა და ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ.

გასულ წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2010 წლის საუკეთესო კერძო სკოლად სწორედ გ. ზალდასტანიშვილის სახელობის აკადემია დაასახელა. თანამედროვე დასავლური პედაგოგიური მეთოდოლოგიის დანერგვასთან ერთად, აკადემიის ერთ-ერთი უპირველესი მიზანია, ღრმად და საფუძვლიანად შეასწავლოს მოსწავლეებს საქართველოს ისტორია და კულტურა, ჩაუნერგოს საქართველოს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემა და სიყვარული.



# საატესტატო გამოცდები – 2011 დასრულდა



**ბაქარ ბერედაშვილი**, 39-ე საჯარო სკოლა: *გამოცდებზე საშუალო შედეგი ვაჩვენე, სართო ჯამში უკმაყოფილო არ ვარ, თუმცა, გააჩნია, რა იქნება ბარიერი. თავიდან იოლი იყო, მაგრამ შემდეგ ნელ-ნელა რთულდებოდა. პროგრამას მისდევდა საკითხები. ყველაზე დაბალი ქულა მივიღე ინლისურში – 7,45 და ყველაზე მაღალი ქულა ისტორიაში – 9,76. საბუნებისმეტყველო საგნებში ყველაზე დაბალი ქულა ბიოლოგიაში მივიღე – 8, 21, ხოლო ყველაზე მაღალი ფიზიკაში – 8, 24. ვფიქრობ, არ არის ცუდი შედეგები. საერთო ჯამში, გამოცდებმა ნორმალურად ჩაიარა და მომდევნო გამოშვებებს მისცა დიდი გამოცდილება, ისინი მეტად იქნებიან მოტივირებულნი, რომ ისწავლონ.*

**დავით ბუჩაშვილი**, 39-ე საჯარო სკოლა: *რა გითხრათ, კარგად გავართვი თავი გამოცდებს. ადვილი საკითხები შემხვდა და ვუპასუხე. ვფიქრობ, ბარიერს გადავლახავ. თუმცა, როგორც ამბობენ, წელს, რადგან პირველად ჩატარდა გამოცდები, შეღავათი გაგვიწიეს და უფრო იოლი იყო. მომავალ წელს უფრო სერიოზულად მოუწევთ მეთორმეტეკლასელებს მომზადება, თუმცა, საშიში მაინც არაფერია. ყველაზე მეტად ქიმიაში გამიჭირდა, მაგრამ მეტი დრო რომ მქონოდა, რასაკვირველია, უკეთ მოვემზადებოდი.*

**რევაზ მარგველაშვილი**, 39-ე საჯარო სკოლა: *მეთორმეტეკლასელების პროტესტი თავიდან იმან გამოიწვია, რომ ძალიან ცოტა დრო გვქონდა გამოცდებისთვის მოსამზადებლად, ეს მოულოდნელი იყო, მაგრამ მოთხოვნა არ იყო არასამართლიანი, გვთხოვენ ჩავაბაროთ გამოცდა, მაგრამ ჩვენ მიჩვეული ვიყავით, რომ ნიშნებს გვიწერდნენ სწავლის გარეშეც, ანუ მიდგომა იყო ასეთი, თუკი ასტესტატს ისედაც მოგვცემენ, რომ თავი არ შევიწუხოთ, რატომაც არა. ბუნებრივია, როცა წლების განმავლობაში არაფერს ვსწავლობდით და წელს უცებ მოგვთხოვეს ცოდნის შემოწმება, ამან ცოტა დაბნეულობა გამოიწვია. მაგრამ მაინც კარგად გავართვით თავი. მომავალი გამოშვებებისთვის უფრო იოლი იქნება, რადგან მათ მეტი დრო აქვთ მოსამზადებლად. მინდა გითხრათ, რომ ჩემი თავით უკმაყოფილო არ ვარ, 8-ზე ნაკლები ქულა არ ამიღია არც ერთ საგანში. წლევანდელი გამოცდებით კი ეს მიდგომა შეიცვლება – ცოდნის გარეშე ატესტატს ვერც ერთი მოსწავლე ვერ მიიღებს. ყველაზე მარტივი კითხვა მახსენდება, მაგალითად: მანქანა რომ მოუხვევს ადამიანი რომელ მხარეზე გადაიხრება? ეს იოლია, აბა რა არის, თუმცა, ბუნებრივია, იყო რთული კითხვებიც. ისტორიულზე ვაპირებ ჩაბარებას, ვფიქრობ, ეროვნულ გამოცდებსაც კარგად გავართმევ თავს.*

**ბექა მაჭარაშვილი**, 39-ე საჯარო სკოლა: *იყო თუ არა რთული გამოცდები, ამის თქმა გამიჭირდება. რომელ საგანსაც ადრე არ ვსწავლობდი, ბუნებრივია, ჩემთვის რთული იყო და რომელ საგანსაც ვსწავლობდი – იოლი. ფიზიკა, ქიმია და მათემატიკა გამიჭირდა. 7, 8 და 8-ზე მეტი ქულები ავიღე. შიშიც გვქონდა, რასაკვირველია, ხომ შეიძლებოდა ატესტატი ვერ აგვეღო! ეს, ბუნებრივია, გძაბავს და გინდა არ გინდა ნერვიულობ. მაგრამ, საერთო ჯამში, დაძლევადია. ერთი სიტყვით ასე შევაფასებ – საშუალოდ რთული აღმოჩნდა ეს გამოცდები და მოგვცა ის, რომ ერთი კარგად ვინერვიულეთ.*

**სოფო გახარია**, 39-ე საჯარო სკოლა: *მათემატიკა ჩემთვის ძალიან რთული აღმოჩნდა, ეკრანს გულგახეთქილი შევჩერებოდი, არ მეგონა თუ კარგ შეფასებას დამიწერდა. გამიჭირდა. საშუალო შედეგები მივიღე. საგანში, რომელშიც ვემზადებოდი რეპეტიტორთან, საუკეთესო შედეგი ვაჩვენე. მაგალითად, გეოგრაფიაში 10 ქულა მივიღე, უცხო ენაში – 7,2 ქულა და ჩემი თავის უკმაყოფილო ვარ. ქიმიაშიც 10 ქულა მივიღე, ფიზიკაში – 8 ქულა. ამ გამოცდებმა მომცა ის, რომ მაქსიმალურად ვიყავი მთელი წელი მობილიზებული, რომ ცოდნა დამეგროვებინა. ეს, რა თქმა უნდა, ჩემთვის კარგია. სულ ტყუილად ვინერვიულეთ და ვიღელვეთ.*

**ლილე მხეიძე**, მე-60 საჯარო სკოლა: *ქართული და მათემატიკა ჩემთვის უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე დანარჩენი საგნები. გეოგრაფია ყველაზე იოლად ჩავაბარე. ჩემს კლასში ყველაზე დაბალი ქულა 5.24 დაფიქსირდა, საერთოდ საშუალო ქულები მივიღეთ. ძირითადად, პრეტესტების დონის დავალებები იყო. მოსწავლეთა უმრავლესობა საატესტატო გამოცდისთვის რეპეტიტორთან არ ემზადებოდა, თუმცა, ვინც მოემზადა, რა თქმა უნდა, გამოადგა კიდეც. ჩემი შედეგებით კმაყოფილი ვარ, რადგან 8-ზე ნაკლები ქულა არც ერთ საგანში არ მიმიღია. გამოცდების მსვლელობისას ტექნიკური ხარვეზები არ ყოფილა. ძალიან მიხარია, ჩემი თანაკლასელების უმეტესობამ მაღალი და საშუალო ქულები რომ მივიღეთ. სულ რამდენიმემ მიიღო 5-6 ქულა, ალბათ, ატესტატის გარეშე არც ერთი არ დავრჩებით.*

**ნატო ზაზაძე**, 187-ე საჯარო სკოლა: *მათემატიკაში 7 ქულა ავიღე, ამითაც კმაყოფილი ვარ. სხვა საგნებში უკეთესი შედეგები ვაჩვენე. ის შიში, რაც მქონდა, სულ ტყუილი აღმოჩნდა. დაუძლეველი არაფერია. საერთოდ კი, ვფიქრობ, რომ გამოცდები, ალბათ, უნდა იყოს. უბრალოდ, ჩვენ პირველები ვართ და ცოტა დრო გვქონდა მოსამზადებლად.*

**გელა ტაბაშიძე**,187-ე საჯარო სკოლა: *ამ გამოცდებმა, პირველ რიგში, მომცა საშუალება გამეგო საკუთარი შესაძლებლობები. საერთო ჯამში, აღმოჩნდა, რომ არც თუ ცუდი მოსწავლე ვყოფილვარ, საშუალო შედეგები ვაჩვენე. ყველაზე მეტად გამიჭირდა მათემატიკა. საატესტატო გამოცდებისთვის არც ერთ საგანში არ მოვმზადებულვარ რეპეტიტორთან. ეროვნული გამოცდებისთვის რეპეტიტორებთან რომ ვემზადები, რასაკვირველია, აქაც გამომადგა.*

**ნინო ფხაკაძე**, 187-ე საჯარო სკოლა: *გამოცდებმა მომცა, პირველ რიგში, გამოცდილება, გავიგე რომელ საგანში მაქვს ხარვეზი, რომელში – არა და ეროვნულ გამოცდებს უფრო მომზადებული შევხვდები. იყო საშუალო სირთულის კითხვები, იყო მარტივიც და რთულიც, ანუ თუ საშუალოდ ხარ მომზადებული, რასაკვირველია, ბარიერს გადალახავ. ძალიან მომწონს, რომ მოსწავლის დონის ინდივიდუალური განსაზღვრა ხდება თითოეულ საგანში. მაქსიმალური ქულა – 9,76 ავიღე ბიოლოგიაში, სამედიცინოზე ვაპირებ ჩაბარებას და ბიოლოგიაში განსაკუთრებით ვემზადებოდი. ფიზიკასა და ქიმიაში საერთოდ არ მოვმზადებულვარ და სკოლის ცოდნით 9,22 ქულა ავიღე. საერთო ჯამში, კმაყოფილი ვარ.*

**თათია გოდერძიშვილი**, 187-ე საჯარო სკოლა: *დღეს, მათემატიკაში 9, 71 ქულა ავიღე, მართალი გითხრათ ასეთ შედეგს ველოდებოდი, რადგან ვემზადები. გამოცდებმა ძალიან დიდი გამოცდილება მომცა, ეროვნული გამოცდების გამო ისე აღარ ვნერვიულობ, უფრო თავდაჯერებული გავხდი და, რაც მთავარია, ზოგადი განათლება მივიღე საგნებში, რომელსაც, რომ არა ეს გამოცდები, არ ვისწავლიდი.*

**გვანცა გაფრინდაშვილი**, 30-ე საჯარო სკოლა: *ეხლა გამოვედი მათემატიკის გამოცდიდან, 6 ქულა მივიღე, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ ყველაფერმა წარმატებით ჩაიარა და იმედი მაქვს, რომ ატესტატს ავიღებ. სხვა საგნები შედარებით კარგად ჩავაბარე, ყველაზე მაღალი ქულები ისტორიაში, ქართულსა და ინგლისურში მაქვს. ჩემი აზრით, გამოცდები წარმატებით ჩავაბარე. მეგონა, უფრო რთული იქნებოდა, შედარებით ადვილი აღმოჩნდა.*

**ელენე ვარამაშვილი**, 30-ე საჯარო სკოლა: *მათემატიკის გამოცდა, ჩემი აზრით, ძნელი იყო. ყველაზე მაღალი ქულა ქართულში მაქვს. სხვა საგნებიც ადვილი იყო, განსაკუთრებით – გეოგრაფია და ისტორია. საერთოდ, გამოცდები არ იყო რთული ჩასაბარებელი. კარგი იქნებოდა, ბარიერი რომ გვცოდნოდა, ძალიან ვნერვიულობთ.*

**ქეთი ჭოლაძე**, 30-ე საჯარო სკოლა: *რვა გამოცდიდან ყველაზე რთული მათემატიკაა. დანარჩენი გამოცდები ძნელი არ იყო, თითქმის თანაბრად ჩავაბარე, განსაკუთრებით – ქართული, ინგლისური, ისტორია, გეოგრაფია. მიუხედავად იმისა, რომ წელს ეროვნულ გამოცდებზე არ გავდივარ და საგანგებოდ არ ვემზადებოდი, ადვილად ჩავაბარე. თუ იცი რაღაც, აუცილებლად ჩააბარებ. შედარებით რთული იყო ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია. ყველაზე მეტად მათემატიკის მეშინოდა.*

**ედუარდ მალიანცი**, 37-ე საჯარო სკოლა: *გამოცდები უფრო ადვილი მეგონა, საკმაოდ რთული აღმოჩნდა, მაგრამ თუ ბოლო სამი წელი სწავლობდი და აბიტურებზეც დადიოდი, რა თქმა უნდა, ჩააბარებდი. საერთოდ, აბიტურები ძალიან დაგვეხმარა. ყველაზე ძნელი იყო მათემატიკა და ბიოლოგია. ბიოლოგია იმიტომ, რომ მაღალ კლასებში არ გვისწავლია. ყველაზე მაღალი ქულა ქართულში მივიღე, საერთოდ მაღალი ქულები უფრო ქართულის გამოცდაზე იყო. ეს ალბათ იმიტომაც მოხდა, რომ ქართულის მასწავლებელი კარგად გვამზადებდა. ყველა მასწავლებელი კარგად გვასწავლიდა, მაგრამ ქართულის მაინც გამორჩეულად. ჩვენ ხომ საქართველოში ვცხოვრობთ და ქართული ენა გამორჩეულად უნდა ვიცოდეთ.*

**დავით რუსიშვილი**, 37-ე საჯარო სკოლა: *გამოცდები წარმატებით ჩავაბარე – მათემატიკაში 9.65 ქულა მივიღე, სხვა საგნებშიც მაღალი ქულები მაქვს. ყველაზე ძნელი, ალბათ, ბიოლოგიის გამოცდის ჩაბარება იყო. თითქმის სამი წლის წინ ვსწავლობდით და დავიწყებული გვქონდა.*

**დავით აივაზიანი**, 37-ე საჯარო სკოლა: *გამოსაშვები გამოცდების ჩაბარება საკმაოდ იოლი აღმოჩნდა. ჩემი აზრით, მთავარია არა ქულები, არამედ ის, რომ ჩავაბარეთ. გამოცდები მეტ-ნაკლები სირთულის იყო. ყველაზე მეტად ბიოლოგიის გვეშინოდა, ასეთია საერთო აზრი. ძალიან რთული იყო იმ ტერმინოლოგიის დასწავლა. ეხლა ბევრი რამ არის დამოკიდებული ბარიერზე, იმედია, ძალიან მაღალი არ იქნება.*

**სახელი და გვარი არ დაასახელა,** 37-ე საჯარო სკოლა: *ჩემი აზრით, ძალიან ძნელი დავალებები იყო. ძლიერი მოსწავლეებიც კი ამბობდნენ, რომ ძნელია ყველა გამოცდა გაწურჩევლად. ჩვენ ისე ვიცოდით, რომ მინიმალური ცოდნა შემოწმდებოდა, მაგრამ ნამდვილად არ იყო ასე. განსაკუთრებით არც ერთი გამოცდა არ გამჭირვებია, მაგრამ ობიექტურად რთული დავალებები იყო. მიხარია, რომ ყველაფერს გავართვი თავი.*

**ხანა** (გვარი არ დაასახელა), 37-ე საჯარო სკოლა: *ჩემი აზრით, რთული იყო მათემატიკა. სხვა საგნების ჩაბარება არ გამიძნელდა. იმედია, ბარიერი არ იქნება ძალიან მაღალი და გადავლახავთ. თუ ბარიერი მაღალი დაწესდა, ალბათ, ბევრი ვერ გადალახავს, რაც დასანანი იქნება. ისე, ჩვენ სკოლაში დაბალი ქულები ნაკლებად მიიღეს ბავშვებმა. კარგი შედეგებია.*

**ანზორი** (გვარი არ დაასახელა), 37-ე საჯარო სკოლა: *ვინც არ სწავლობდა, მისთვის რთული იქნებოდა, რა თქმა უნდა. საგნებში, რომლებსაც წლების განმავლობაში არ სწავლობ, გამოცდის ჩაბარება ძნელია. მე ფიზიკა უფრო გამიჭირდა, ვიდრე ბიოლოგია. დანარჩენი საგნები ნორმალურად ჩავაბარე, საკმაოდ მაღალი ქულები მაქვს. მომავალ წელს, ალბათ უფრო ძნელი იქნება გამოცდების ჩაბარება, პროგრამა გართულდება.*

**გვარი და სახელი არ დაასახელა,** 63-ე საჯარო სკოლა: *ეხლა გამოვედი მათემატიკის გამოცდიდან და შემიძლია გითხრათ, რომ ადვილი ნამდვილად არ ყოფილა. საერთოდაც გამოცდები არ იყო ისეთი მარტივი, როგორიც გვეგონა, რომ იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ცხადდებოდა.*

**გიორგი გოგიბერიძე**, 63-ე საჯარო სკოლა: *მათემატიკის გამოცდა არ იყო რთული. ჩემს ნაკადში არავინ არ ჩაჭრილა. ძნელია იმის თქმა, რომელი გამოცდა იყო ყველაზე რთული. ეს იმაზეც იყო დამოკიდებული ეროვნული გამოცდებისთვის რომელ საგანში ემზადებოდა მოსწავლე. აქედან გამომდინარე ზოგმა ქართული ჩააბარა კარგად, ზოგმა – ინგლისური, სხვამ – მათემატიკა და ა.შ. პირადად ჩემთვის ყველაზე რთული ქიმიის გამოცდა აღმოჩნდა. თუმცა, კარგი ქულა მივიღე და იმედი მაქვს, რომ ბარიერს გადავლახავ. თავიდან რომ გვეგონა, გამოცდები ძალიან რთული იქნებოდა, ასე არ აღმოჩნდა. მთლიანობაში, რთული არ იყო.*



# მოსაზრებები „აღზრდის ტრაგედიის“ შესახებ

აღზრდა, ისე როგორც ნებისმიერი მიზანმიმართული საქმიანობა, შედეგის მომტანი უნდა იყოს. თუ შედეგს ვერ ვაღწევთ, მშობლებმა, მასწავლებლებმა ანგარიში უნდა ჩავაბაროთ როგორც საკუთარ თავს, ისე საზოგადოებას.

როცა მშობელი, მასწავლებელი ანგარიშს აბარებს, განსჯის საკუთარ თავს, კითხვას უსვამს საკუთარ თავს – იქნებ რაღაც შემეშალა? – საქმე გვაქვს აღზრდაში უფროსების მიერ დაშვებული შეცდომების აღიარებასთან და ასეთ შემთხვევაში, შეცდომის გამოსწორების მზაობა სახეზეა.

აღზრდაში პარადოქსთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა მშობელი, მასწავლებელი შინაგანად დარწმუნებულია თავისი მოქმედების აუცილებლობასა და სისწორეში, სჯერა, რომ აღზრდაში დასახულ მიზანს აღწევს, შედეგად კი ხშირად აღმოჩნდება ხოლმე, რომ იგი არათუ უახლოვდება დასახულ მიზანს, არამედ საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებს. საქმე გვაქვს სასურველ მიზანსა და ამ მიზნის მიღწევის გზებს შორის შეუთანხმებლობასთან.

მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ, როცა აღსაზრდელთან ურთიერთობა ისე მწვავდება, რომ გამოსავალს ველარ პოულობს, თვით ცხოვრება არწმუნებს მასწავლებელსა და მშობელს დაშვებულ შეცდომებში. ხანგრძლივი დროის შემდეგ კი, შეცდომების გამოსწორება ძნელდება.

აღმზრდელობითი პროცესის დიალექტიკური ბუნებიდან გამომდინარე, ყოველგვარი დოგმატიკური მიდგომა, გაუთვალისწინებლობა მდგომარეობისა, თუნდაც, აი, ამ წუთიერი მოთხოვნისა, ყოველთვის მანკიერი იქნება (ვ. კრაიდლერი).

აღზრდაში პარადოქსულობის არსებობა დაბეჯითებით გვარწმუნებს იმაში, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში მშობელსა და შვილს, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის მრავალგვარი კონფლიქტი არსებობს. ზოგიერთმა მასწავლებელმა, მშობელმა შეიძლება თავი იმართლოს: რა ვქნათ, ვურჩევთ და არ გვიჯერებს, ვარიგებთ და მაინც თავისას აკეთებს, ვუბრძანებთ და მაინც არაფერი გამოგვდის; გამოსავალი ერთია: იძულებულნი ვართ, ავუკრძალოთ, დავსაჯოთ. ეს კონფლიქტის მხოლოდ გარეგნული ნიშნების გამოვლენა და მასზე ზემოქმედების მცდელობაა. კონფლიქტის არსებითი, რთული, აღმზრდელობითი პროცესის სიღრმისეული წინააღმდეგობის ფსიქოლოგიური მექანიზმი არ ჩანს.

თვით აღმზრდელობითი პროცესის შიგნით არსებული წინააღმდეგობის, აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის კონფლიქტის წარმოშობის წყაროს ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელმა დიმიტრი უზნაძემ „აღზრდის ძირითადი ტრაგედია“ უწოდა.

„აღზრდის ძირითადი ტრაგედია და ექსპერიმენტული პედაგოგიკა“ – ასეთი სათაურით დაიბეჭდა 1912 წელს, ჟურნალ „განათლებაში“ (№6) დ. უზნაძის ეს სტატია. *„ვინც ოდნავ მაინც ჩაკვირვებია პედაგოგიური პრაქტიკის ბუნებას, მან ალბათ იცის ყველა ის ოღრო-ჩოღრო, რომელიც ასე მდიდრული და უხვი ხელით არის მის ზესკნელზე გაფანტული. მაგრამ მათ შორის არც ერთი არ არის ისე შავი და ბნელი, ისე საშიში და სახიფათო, როგორც ერთი. იგი პედაგოგიური პრაქტიკის თვით შუაგულშია ამოთხრილი და ამიტომაც არის, რომ მასთან ანგარიშის გასწორება ყველას უხდება.*

*ჩვენ სახეზე გვაქვს ის უფსკრული და ის უძირო ზღვა, რომელიც აღმზრდელის და აღსაზრდელის მისწრაფებათა შორის ჩაგუბებულია და მათ ძირითად გაუგებრობას საფუძვლად უდევს“.*

დიმიტრი უზნაძის ამ ორიგინალურ სტატიაში ბევრ საინტერესო კითხვაზე შეგვიძლია ვიპოვოთ პასუხი, რათა შევძლოთ აღზრდის ამ „ოღრო-ჩოღროზე“ გავლა. აღმზრდელი აღსაზრდელის კეთილდღეობას ესწრაფვის. მოზარდიც კეთილდღეობისაკენ ილტვის, *„მაგრამ ამავე დროს აღმზრდელს გაურბის, აღმზრდელის სურვილებს არ ემორჩილება“.* რა არის ამის მიზეზი? კითხვას სვამს დ. უზნაძე და იქვე პასუხობს: *„აღზრდის პროცესის ორ მომენტს, აღმზრდელსა და მოზარდს, სხვადასხვანაირად აქვთ კეთილდღეობა წარმოდგენილი. ერთი სულ სხვა შინაარსით ავსებს ამ ცნებას, და მეორე კიდევ – სხვით“.*

აღზრდის პროცესში აღმზრდელი აქტიურია, აღსაზრდელი პასიური. *„პირველი მოქმედებს, მეორე ამ მოქმედებას განიცდის. პირველის მოქმედება საკუთარი მოტივებით ხელმძღვანელობს და მეორის სურვილებს ყურს არ ათხოვებს. ეს მოტივები როგორც ერთადერთი მიზეზი აღმზრდელის მოქმედებისა, აღზრდის მიზანს წარმოადგენს“.*

შეუძლია მოზარდს გააცნობიეროს აღზრდის მიზანი და აღმზრდელის მის საკეთილდღეოდ მიმართული მოღვაწეობა ღირსეულად შეაფასოს? საქმე იმაშია, რომ *„ყოველი აღზრდა მომავალს ემსახურება“*, აღმზრდელი დღევანდელი მომენტით კი არ ხელმძღვანელობს *„მას სახეში მუდამ მომავალი აქვს... ყოველი აღზრდის თვალსაზრისით მხოლოდ იმდენად აქვს ბავშვის რომელსამე საქციელს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი მის ბუნებას, ნორმალურ განწყობილებას, დისპოზიციას, ხასიათს იმუშავებს“.*

დ. უზნაძეს ასეთი მარტივი მაგალითი მოაქვს: *„ვთქვათ, ბავშვმა სიცრუე თქვა, თუმცა ამით მას არავისთვის არავითარი ვნება არ მოუტანია. ყოველი ნამდვილი აღმზრდელი ვალდებულია ამისთვის ბავშვი დასაჯოს და მას შთააგონოს, რომ დანაშაული ჩაიდინა. რისთვის? ბავშვის საქციელს თავისთავად ხომ ნამდვილი დანაშაულის სახე არა აქვს? არა, მაგრამ ადამიანის ხასიათი წვრილსა და უმნიშვნელო მოვლენებში ვითარდება; ამიტომ შესაძლებელია ამით ბავშვს სიცრუისადმი ერთგვარი დისპოზიცია, ერთგვარი განწყობილება შეუმუშავდეს. ასეთი დისპოზიცია ბოლოს და ბოლოს მას მაინც საგრძნობ დანაშაულს ჩაადენინებს“.*

ამრიგად, ყოველი აღმზრდელი მუდამ მომავალი ინტერესებით ხელმძღვანელობს და აწმყოს მუდამ მას ანაცვალებს. აღსაზრდელი კი, *„სულ სხვაგვარად ფიქრობს და სულ სხვას მოითხოვს. იგი მომენტით ცხოვრობს და მომენტის მონაა. ამიტომ იგი ერთი წუთითაც კი არავის დაუთმობს თავის აწმყოს, მთელი მისი სიამოვნება-არასიამოვნებებით და მუდამ სასტიკი წინააღმდეგი იქნება ყველა იმისი, ვინც ამ მხრივ მის ბუნებრივ სურვილთა განწყობილებას წინ გადაეღობება.*

*აღმზრდელი კი მთელი თავისი აღმზრდელობით, მზრუნველობით, ძირიან-ფესვიანად პირისპირ ეჯახება მოზარდის ასეთ განწყობილებას“.* ამრიგად, აღზრდა თავის თავში მოიცავს სიძნელეს, ტრაგედიას, რომელიც სათავეს იღებს მოსწავლისა და მასწავლებლის ინტერესების ფსიქოლოგიურ შეუთავსებლობაში.

სწავლებაში მოსწავლე-მასწავლებლის ფსიქოლოგიური წინააღმდეგობა, შეუთავსებლობა თანამედროვე მიდგომების წყალობით შესუსტებულია. მოსწავლის პიროვნებად ჩამოყალიბება, ცოდნის მიღების გარდა, გულისხმობს აზროვნების, ნებელობის, გარკვეული ღირებულებების მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბებასაც. ნებელობა ადამიანის მიერ არასასიამოვნო, არასასურველი საქმიანობის შესრულების უნარია, რომელიც წინააღმდეგობას უწევს უშუალო მოთხოვნილებებს, მისწრაფებებს, ინტერესებს, და სრულიადაც არ არის სიამოვნების მომნიჭებელი. ადამიანს აქვს ნებისყოფის შესაძლებლობა, დისპოზიცია, მაგრამ მისი ნებისყოფის გამომუშავებისთვის, მისი ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია ვარჯიში. ბავშვს ნებისყოფა არა აქვს, იგი უშუალო, მყისიერი მოთხოვნილებებით მოქმედებს. ნებისყოფის ჩამოყალიბება, დ. უზნაძის აზრით, ზნეობრივი პრინციპების გამომუშავების პროცესია, რომელიც „ადამიანთა არსებაში მარტო გონების გზით არ უნდა იქმნებოდეს... იგი გრძნობათა სამყაროშიც უნდა გადადიოდეს. სანამ ეს არ მომხდარა, მასწავლებლისა და მოსწავლის ინტერესები, მათი მიზნები შინაგანად დაპირისპირებული იქნება (სულ სხვაა გაკვეთილზე მოსმენილი და ნასწავლი ა. წერეთლის „გამზრდელი“ და სულ სხვა – თეატრალიზებული წარმოსახვა და შესრულება მისი გმირებისა).

სწავლებაში მეტ-ნაკლებად გარკვეული წარმატებები გვაქვს, მეთოდიკაც მრავალფეროვანია, აღზრდაში კი, სამწუხაროდ, დღემდე არ გვაქვს თანამიმდევრული, ერთიანი პროგრამა, რომელიც მოიცავდა სკოლის, კლასგარეშე, სკოლისგარეშე მუშაობას და მშობელთა ჩართულობას. არც თვით სწავლების პროცესია საკმარისად აღმზრდელობითი. სასწავლო პროგრამა ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ თავისთავად უწყობდეს ხელს აღზრდას, პიროვნების ჩამოყალიბებას. ამ მიმართულებით სამოქალაქო აღზრდა, თავისი მრავალფეროვანი შესაძლებლობებით, ნებისმიერი სკოლისთვის მთავარი პრიორიტეტი უნდა გახდეს და მხოლოდ საგაკვეთილო დროით არ უნდა შემოიფარგლოს.

დგება დრო, როცა მოზარდი იწყებს თვითგამორკვევას: ვინ არის, რა უნდა, ვინ შეიყვარებს, ვინ შეუყვარდება. მის ცხოვრებაში ჩნდებიან იდეალური გმირები, ავტორიტეტები. საუკეთესო შემთხვევაში, ეტალონებად მშობლები მიიჩნევიან ხოლმე, ისეთი მშობლები, რომლებმაც შეძლეს შვილებთან ურთიერთობა, თანამშრომლობა, მეგობრობა. მშობელთა პედაგოგიზაციის მიმართულებით ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა მშობელთა კლუბების მუშაობა. აქ სხვა მდიდარ ლიტერატურასთან ერთად, კარგი სამსახურის გაწევა შეუძლია ინგლისელი მეცნიერის დონალდ ტენესის ტესტებსაც, რომელიც ყოველ ჩვენგანს დააფიქრებს ოჯახში წარმოშობილი კონფლიქტების გადაჭრის გონივრულ გზებზე (თუკი ნებისმიერ საგანში ცოდნა ტესტების საშუალებით შეგვიძლია შევაფასოთ, აღზრდაში მით უმეტეს აუცილებელია ასეთი ტესტების გამოყენება, რომელსაც ზნეობრივი ამოცანების ფორმა ექნება და ჩვენს სავარაუდო თუ სასურველ ქცევაზე დაგვაფიქრებს).

გთავაზოვთ **დონალდ ტენესის ტესტს „როგორი მშობელი ხართ?“**. ჩვენი აზრით, ეს ტესტი ახლებურად დაგანახებთ საკუთარ თავს, როგორც მშობელს, თქვენს შვილს და საკუთარი თავის შეფასებაშიც დაგეხმარებათ.

**1. თქვენი პატარა შვილი ეზოდან ნაჩხუბარი ამოვიდა. როგორ მოიქცევით?**

ა) უსინჯავთ გადაყვლეფილ მუხლებს, ბანთ, ოდნავ უყვავებთ კიდეც.

ბ) ნერვიულობთ, გადაწყვეტთ ეზოში მარტო აღარ ჩაუშვათ.

გ) ისტერიკის პირას ხართ, ბავშვს სჯით.

**2. თქვენი 10 წლის ვაჟს ისეთი საათი აჩუქეთ, რომელზეც ოცნებობდა. რამდენიმე დღის შემდეგ საათის დაკარგვის გამო თვალცრემლიანს ხედავთ. როგორი რეაქცია გექნებათ?**

ა) შეძლებისდაგვარად ამშვიდებთ შვილს, ცდილობთ ყურადღება გადაატანინოთ. დაკარგული საათი არ გენანებათ, შვილის ტირილი გულს გიგლეჯთ.

ბ) თავიდან მზად ხართ საათის მოსაძებნად ძალ-ღონე არ დაიშუროთ, შემდეგ მცდელობის ამაოებაში რწმუნდებით და ასკვნით: „ასეთი უმადური და გათამამებული ბავშვისთვის ასეთი ძვირფასი საჩუქარი არ უნდა მეყიდა“.

გ) კიცხავთ შვილს, თქვენს სიტყვებში საათის ღირებულება ფიგურირებს.

**3. თქვენი 9 წლის ბიჭი გამცნობთ, რომ მასწავლებელს თქვენი ნახვა სურს. როგორ მოიქცევით?**

ა) პანიკისგან ძალიან შორს ხართ, პირველი შესაძლებლობისთანავე შეხვდებით მასწავლებელს.

ბ) ცდილობთ გაარკვიოთ რა დააშავა. თუ მასწავლებელი გისაყვედურებთ, მკაცრად დასჯას ჰპირდებით.

გ) ისტერიკის ზღვარზე მზად ხართ დაუყოვნებლივ გაიქცეთ მასწავლებელთან. დასაწყნარებელი წვეთები გჭირდებათ.

**4. თქვენი 9 წლის ბიჭმა სემესტრის განმავლობაში ორჯერ მიიღო ყველაზე დაბალი შეფასება. ეს თქვენთვის დარტყმაა, რადგან ზოგადად, ბავშვს მაღალი შეფასებები აქვს ყველა საგანში. როგორი რეაქცია გექნებათ?**

ა) წუხხართ, მაგრამ თვლით, რომ ტრაგედია არ მომხდარა. გადაწყვეტთ არდადეგების პერიოდში მეტი ყურადღება მიაქციოთ ამ საგნებს.

ბ) არ იცით, ვინ დაადანაშაულოთ: შვილი – „სულ წავიდა ხელიდან“, მეუღლე – „სულ მას ჰგავს“ თუ მასწავლებელი – „უბრალოდ ვერ გვიტანს“.

გ) ოჯახში სკანდალია, მხოლოდ იმის ცოდნა გამშვიდებთ, რომ ბიჭის მეგობარსაც დაბალი შეფასებები აქვს.

**5. ხედავთ, რომ თქვენი 10 წლის ბიჭი უპატრონო კატას აწვალებს. როგორ მოიქცევით?**

ა) აღშფოთდებით, მოითხოვთ დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ეს უმსგავსობა.

ბ) შეშინებული მოარიდებთ შვილს – „იქნებ კატა ცოფიანია?“

გ) გულგრილად ჩაუვლით, თვლით, რომ ასეთი გართობა ძალზე ბუნებრივია ბიჭებისთვის.

**6. თქვენს 12 წლის ვაჟს სიგარეტი აღმოუჩინეთ. როგორ მოიქცევით?**

ა) არ შეიმჩნევთ, თუმცა, უფრო ხშირად დაიწყებთ საუბარს სიგარეტის მავნებლობაზე.

ბ) დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებთ, მაგრამ პირველი უსიამოვნებისთანავე ამ ფაქტსაც წამოაძახებთ.

გ) უცდით ხელსაყრელ შემთხვევას, რომ ფაქტზე დაიჭიროთ.

**7. მეუღლეს წაეჩხუბეთ და სკოლიდან დაბრუნებულ 9 წლის შვილს ძალიან გაღიზიანებული ხვდებით. ბიჭი კარგ განწყობაზეა, კარგი შეფასებები მიიღო და, დაპირებისამებრ, თქვენთან ერთად კინოში წასვლის მოლოდინით ხარობს. როგორ მოიქცევით?**

ა) არ ამჟღავნებთ საკუთარ განწყობას და კინოში მიდიხართ.

ბ) ეუბნებით, რომ თავს ცუდად გრძნობთ და კინოში წასვლის გადადებას სთხოვთ.

გ) შვილის მოსვლა კიდევ უფრო გაღიზიანებთ, კინოში წასვლაზე საუბარიც კი არ არის.

**8. თქვენი შვილი მალე 10 წლის ხდება, მეგობრები დაპატიჟა და მოუთმენლად ელოდება დღესასწაულს. წვეულებამდე ერთი დღით ადრე იგებთ, რომ თქვენი დიდი ხნის უნახავი მეგობრები აპირებენ თქვენთან მხოლოდ ერთი დღით სტუმრობას. როგორ მოიქცევით?**

ა) თქვენი და შვილის სტუმრები ერთმანეთს ხელს არ შეუშლიან, არაჩვეულებრივად გაატარებთ დროს.

ბ) შვილს მდგომარეობას აუხსნით და წვეულების გადატანას სთხოვთ.

გ) უბრალოდ აცნობებთ, რომ წვეულება გადაიდო.

**9. ამჩნევთ, რომ საფულედან წვრილი ფული გეკარგებათ. საუბედუროდ, გაიგებთ, რომ დამნაშავე თქვენი მოზარდი შვილია. როგორ მოიქცევით?**

ა) საგონებელში ვარდებით, მაგრამ იმედს არ კარგავთ. გადაწყვეტთ, ჯერ გაარკვიოთ, რაში დასჭირდა შვილს ფული და შემდეგ განსაზღვროთ, როგორ მოიქცეთ.

ბ) გარკვევის გარეშე სჯით შვილს.

გ) ყველაფერი ცხადია – თქვენი შვილი ქურდია!

**10. თქვენს 15 წლის ბიჭს უსიამოვნებები აქვს. გაკვეთილებს აღარ სწავლობს, უხეშობს. იცით, რომ ამის მიზეზი პირველი უპასუხო სიყვარულია. როგორ მოიქცევით?**

ა) ცდილობთ გაუგოთ შვილს, გახსოვთ საკუთარი თავი ამ ასაკში, დელიკატურად ექცევით.

ბ) დარწმუნებული ხართ, რომ „ეს სისულელე მალე გადაუვლის“.

გ) „რა დროს სიყვარულია?! სანამ შეფასებებს არ გამოასწორებს და წესიერად მოქცევას არ ისწავლის, სახლიდან ვერ გავა!“

**11. თქვენი სანიმუშო შვილი არასახარბიელო კამპანიაშია. სწავლას თავი მიანება, თქვენი თანდასწრებით ეწევა, რამდენჯერმე ნასვამიც კი დაბრუნდა სახლში. როგორ მოიქცევით?**

ა) ხმამაღლა წუხხართ, რომ მისი პატივისცემა დაკარგეთ, ყოველი ხელსაყრელი შემთხვევისას უხსნით, რომ ასეთი საქციელი მამაკაცს არ ეკადრება. დარწმუნებული ხართ, რომ ეს საეჭვო მეგობრობა მალე დასრულდება.

ბ) ყველაფერს მიაწერთ გარდატეხის ასაკს, მაგრამ ოჯახში სკანდალები მატულობს.

გ) თანდათან ეჩვევით აზრს, რომ თქვენი შვილი ხულიგანია.

**12. უსიამოვნო საუბრისას თავი ვერ შეიკავეთ და შვილს სილა გააწანით. გარკვეული დროის შემდეგ გააცნობიერეთ, რომ ბიჭი ამას არ იმსახურებდა, აჩქარდით. როგორ მოიქცევით?**

ა) შვილს პატიებას სთხოვთ და საკუთარ თავს მომავალში თავშეკავებულობას ჰპირდებით.

ბ) ცდილობთ დანაშაულის გამოსყიდვას, მაგრამ პატიებას არ სთხოვთ, თვლით, რომ ეს თქვენს ავტორიტეტს შელახავს.

გ) „თვითონ მიმიყვანა აქამდე! რა ჩემი ბრალია!“

**13. შემთხვევით ყური მოჰკარით შვილის საუბარს მეგობართან. ის გოგოებთან ურთიერთობის გამოცდილებას უზიარებდა. ეუბნებოდა, რომ მათ სერიოზულად არ უყურებს. როგორ მოიქცევით?**

ა) საკუთარ თავს გაამჟღავნებთ და ეტყვით, რომ არ მოგწონთ მისი პოზიცია.

ბ) კართან ყოვნდებით და შემდეგ შედიხართ. გოგოებისადმი შვილის ასეთი დამოკიდებულება ხელს გაძლევთ: „სერიოზული ფიქრი ჯერ ადრეა. მთავარია სისულელის გამო ადრე არ მოიყვანოს ცოლი!“

გ) აგრძელებთ მოსმენას. მის სიტყვებზე რეაქცია არ გაქვთ, მაგრამ თუ შემთხვევა მოგეცემათ, ეტყვით, რომ მხოლოდ გოგოებზე ფიქრობს.

**14. 17 წლის ბიჭმა გამოგიცხადათ, რომ თანამედროვე ცხოვრების არაფერი გაგეგებათ. როგორ მოიქცევით?**

ა) არაფერს ამტკიცებთ, მაგრამ მზად ხართ იმსჯელოთ „თანამედროვე ცხოვრების“ შესახებ.

ბ) აღშფოთდებით, რადგან თვლით, რომ სწორედ თქვენ გესმით თანამედროვე ცხოვრება.

გ) „სანამ ბოდიშს არ მომიხდის, მისი დანახვაც კი არ მინდა!“

**15. 18 წლის ბიჭმა გამოგიცხადათ, რომ რამდენიმე თვეში ცოლი მოჰყავს. სარძლოს არ იცნობთ. როგორ მოიქცევით?**

ა) არ ცდილობთ მის გადარწმუნებას, თვლით, რომ დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს.

ბ) სიახლეს გაოცებისა და ირონიის ნაზავით ხვდებით.

გ) მეტყველების უნარი გეკარგებათ, მაგრამ გონზე მოსვლის შემდეგ თქვენს „მჭევრმეტყველებას“ საზღვარი არა აქვს – „მხოლოდ ჩემი სიკვდილის ფასად!“ და ა.შ.

**16. ყველაზე მეტად რითი შეუძლია შვილს თქვენი გახარება?**

ა) უცაბედად აღმოჩენილი განსაკუთრებული უნარებით (მათემატიკაში, ხატვაში, სპორტში და ა.შ.)

ბ) უმაღლესი შეფასებებით სკოლაში.

გ) უსიტყვო მორჩილებით ოჯახში.

**17. ყველაზე მეტად რით შეუძლია თქვენს შვილს თქვენი წყენინება?**

ა) ყველაფერში გამოვლენილი „ჩვეულებრივობით“.

ბ) სემესტრში დაბალი შეფასებით.

გ) ჯიუტობით.

**18. თქვენი აზრით, რაშია კეთილდღეობის მთავარი გასაღები?**

ა) უჩვეულო ნებისყოფაში.

ბ) მტკიცე ჯანმრთელობაში.

გ) გამორჩეულ გონებრივ შესაძლებლობებში.

**19. რა არის წარუმატებლობის მიზეზი?**

ა) დაუფიქრებელი საქციელი.

ბ) თავდაჯერებულობა.

გ) სისულელე.

**20. როგორ ადამიანად გსურთ იხილოთ საკუთარი შვილი მომავალში?**

ა) კეთილ ადამიანად, კარგ მეგობრად.

ბ) არაჩვეულებრივ სპეციალისტად.

გ) ცნობილ ადამიანად.

**21. ყველაზე მეტად რა გაშინებთ საკუთარი შვილის მომავალში?**

ა) მძიმე ავადმყოფობა.

ბ) დანაშაულის თანამონაწილეობა.

გ) არშემდგარი პირადი ცხოვრება.

**22. თქვენი აზრით, რაში მდგომარეობს საკუთარი თავის დაცვის უნარი?**

ა) უჩვეულო თავდაჭერილობაში.

ბ) იუმორის გრძნობაში.

გ) ფიზიკურ ძალაში.

**23. ყველაზე რთული რისი აღზრდაა?**

ა) თანაზიარობის.

ბ) შრომისმოყვარეობის.

გ) წესიერების.

**24. მშობლისთვის რომელი თვისებაა უმთავრესი?**

ა) თავდაჭერილობა.

ბ) ყველაფერში სასაცილოს დანახვის უნარი.

გ) შვილების საქმეებში წვდომის უნარი.

**25. მიიჩნევთ თუ არა, რომ მატერიალური კეთილდღეობა ცხოვრებაში უმთავრესია?**

ა) არა.

ბ) ვშიშობ, რომ თანამედროვე ცხოვრებაში – კი.

გ) უდავოდ.

**26. ქვემოთ ჩამოთვლილი საგნებიდან რომელია მოზარდისთვის უმთავრესი?**

ა) იარაღი (სათევზაო მოწყობილობა, მოტოციკლი).

ბ) უახლესი ელექტრონული ტექნიკა.

გ) მოდური ტანსაცმელი.

**27. შვილის მორთმეული როგორი საჩუქარი უფრო ძვირფასია თქვენთვის?**

ა) მისი გაკეთებული ხის სკამი.

ბ) ვარდების არაჩვეულებრივი თაიგული.

გ) დანაზოგით ნაყიდი ძვირფასი საჩუქარი.

**28. თვლით თუ არა, რომ თქვენი შვილი არ გგავთ?**

ა) უნაკლო ადამიანი არ არსებობს; მე ჩემი ნაკლი მაქვს, მას თავისი.

ბ) ზოგჯერ ასე მგონია.

გ) დიახ, მე მისნაირი არ ვიყავი.

**29. ხშირად ახვევთ თუ არა თავს შვილს საკუთარ შეხედულებას?**

ა) ვცდილობ ამას თავი ავარიდო.

ბ) ზოგჯერ, თუ ეს აუცილებელია.

გ) რა თქმა უნდა, მხოლოდ ამას „საკუთარი აზრის თავსმოხვევას“ კი არ ვუწოდებ, არამედ „სწორ გზაზე დაყენებას“.

**30. მიიჩნევთ თუ არა საკუთარ თავს იდეალურ მშობლად?**

ა) იდეალური მშობელი არ არსებობს, ისევე როგორც არ არსებობს იდეალური ადამიანი.

ბ) არ მივიჩნევ.

გ) რა თქმა უნდა, მე ხომ ჩემი შვილისთვის არც ფული მენანება, არც დრო და არც ძალისხმევა.

შედეგების შეფასების სკალა:
ა = 1 ქულა, ბ = 2 ქულა, გ = 3 ქულა

შედეგები:

**3-დან 35 ქულამდე** – თქვენ შეგიძლიათ სხვებს მისცეთ რჩევები ბავშვის აღზრდის შესახებ. მშობლობა თქვენი მოწოდებაა.

**35-40** – ძირითადად, სწორად იქცევით, თუმცა, ნუ დაგავიწყდებათ, რომ აღზრდაში ნერვებმა არ უნდა გიმტყუნოთ.

**40-55** – გადასინჯეთ შეხედულებები როგორც საკუთარ თავზე, ისე შვილზე. ზოგჯერ მაინც გაიხსენეთ ხოლმე საკუთარი თავი ბავშვობაში.

**55-65** – ხშირად უსამართლოდ იქცევით. გასაოცარია, თქვენ ახერხებთ განასხვაოთ სიტყვები „ადამიანი“ და „ბავშვი“.

**65-80** – საეჭვოა, რომ ბედნიერი სიბერე გელოდეთ მოსიყვარულე შვილების გარემოცვაში. საბედნიეროდ, თქვენ გამონაკლისი ხართ.

**80-90** – ბავშვის გაჩენამდე სერიოზულად უნდა დაფიქრებულიყავით, რადგან თქვენი ამ ნაბიჯით უფრო ბედნიერი არავინ გამხდარა!

*როზა ირემაშვილი*
*პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,*
*ი. გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი*

*ნინო ჭიაბრიშვილი*
*ასისტენტ-პროფესორი,*
*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## ინფორმაცია

* * *



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** და სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი **გია მამულაშვილი** ისტორიის პედაგოგების სემინარს დაესწრნენ.

მე-9 საჯარო სკოლაში თბილისის სხვადასხვა რაიონების სკოლების ისტორიის პედაგოგებს, სასერტიფიკაციო გამოცდებთან დაკავშირებით, სემინარი ჩაუტარდათ. ტრენინგზე საუბარი იყო ისტორიულ წყაროებზე მუშაობასა და სწავლების მეთოდებზე ისტორიაში.

სასერტიფიკაციო საგამოცდო საკითხების მიხედვით მასწავლებელთა გადამზადება სისტემურად მიმდინარეობს. სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, საქართველოს მასშტაბით, 8000-მდე პედაგოგს უკვე ჩაუტარა ტრენინგი პროფესიულ უნარებსა და ყველა საგანში. პედაგოგთა მოთხოვნის საფუძველზე, 20 ივნისიდან, ცენტრი მასწავლებლებისთვის დამატებითი სემინარების ჩატარებას გეგმავს.

სასერტიფიკაციო გამოცდები ივლისში ჩატარდება. წელს ყველა საგნის პედაგოგი შეძლებს გამოცდაზე გასვლას. სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის დარეგისტრირებულ პედაგოგთა რაოდენობა 24000-ზე მეტია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დიდია მოტივაცია და მასწავლებელთა მზაობა, აიმაღლონ კვალიფიკაცია. 2014 წლამდე პედაგოგებისთვის სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარება ნებაყოფლობითია.

# საალმზრდელო პროექტი „მეგობრობის გაკვეთილები“

სადღეისოდ საჯარო სკოლებში არაერთ ინიციატივას – ინოვაციურ, რეფორმატულ წინადადებებსა და პროექტებს გვთავაზობენ. ერთ-ერთ ასეთ გამოწვევას თბილისის 24-ე საჯარო სკოლაში მომზადებული საალმზრდელო პროექტი „მეგობრობის გაკვეთილი“ წარმოადგენს (ხელმძღვანელი – რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ელისო კახიანი**).



20 მაისს აღნიშნული პროექტის პირველი ეტაპი განხორციელდა – დღის 3 საათზე სკოლის დარბაზის სცენაზე გაიმართა ჩვენება სპექტაკლისა „მეგობრობის გაკვეთილი–1“. VIII კლასის მოსწავლეები: **ირაკლი ასათიანი, გიგი გალდავაძე, გეგა გალოგრე, ნათია გიგატაძე, გუგა მესხი, გიორგი ლაბაძე, ავთო თაბაგარი, თათია თუთისანი, ნანო სარალიშვილი, გიორგი კობახიძე, რეზო გვრიტიშვილი, სალომე ირემაშვილი, მარიამ მარკოზაშვილი, ეკა კვინიკაძე, სალომე ქავთარაძე, რუსუდან ეფრემიძე** ანსახიერებდნენ თინეიჯერების აზრებს, განცდებს, შეხედულებებს სასკოლო ცხოვრებისა და საგაკვეთილო პროცესის მიმართ; ისინი შეეხნენ მანდატურების სამსახურსაც და ე.წ. „ჩაშვების ინსტიტუტსაც“, იყვნენ მართალნიც და გულისხმიერნიც, ხისტნიც და თვინიერნიც... სოციალურად დაუცველნიც და მეგობრობის დახმარებით, გამარჯვებულნიც.

ერთი სიტყვით, ჩვენ თვალწინ გადაიშალა ერთი ჩვეულებრივი... ტკივილითა და ღელვით სავსე; ემოციის მატარებელი დამრიგებლისა და მანდატურების მიერ წარმართული სასკოლო ყოფა. სცენარით გამოიკვეთა მშობლების გულგრილი დამოკიდებულება როგორც საკუთარი შვილის, ისე მისი თანაკლასელების მიმართ, რომ მშობელი დღეს ნაკლებადაა ჩართული სასკოლო ცხოვრებაში... თუმცა ეს VIII კლასი საქმით ამის საწინააღმდეგოს გვიჩვენებს: სპექტაკლის რეჟისორი ამ კლასის მოსწავლის მშობელია.

ყველანი – სტუმარიცა და მასპინძელიც, მოზარდიცა და ზრდასრულიც, ხელოვანიცა და პედაგოგიც მაღალ შეფასებას აძლევენ პროექტის პირველ ეტაპს, მიაჩნიათ, რომ ამ სახის ჩვენებები ისევ და ისევ მოსწავლეთა თვალითა და მოსაზრებებით შექმნილ-განსაზღვრულ პროცესებს სწორად და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს დაეხმარება რეფორმის წარმატებით დასრულებაში.

აღნიშნული წარმოდგენა ყველა მოსწავლისათვის საინტერესო იქნება.

*თამარ ბარისაშვილი*
*განათლების პროფკავშირის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*



კვალი ნათელი

# სიკეთის გაკვეთილი

## უძღვნი ვერიკო გოგიაშვილის ნათელ ხსოვნას

1937 წელს დავიბადე თბილისში. მაშინაც კი, როცა ადამიანებს უმოწყალოდ ხვრეტდნენ, იბადებოდნენ კიდეც. შეიძლება, ორი ან სამი კაცის მაგივრადაც კი დავიბადე. მართლაც, ბავშვობიდან ვშრომობ და შრომაში ვპოულობ ბედნიერებას. ესეც რომ არ იყოს, მე მაინც ვეცდებოდი, რომ იმაზე მეტი მეკეთებინა, რაც მევალება, იმიტომ, რომ ვალი მაქვს გადასახდელი, დიდი ვალი. თუმცა, ამაზე წერილის ბოლოში მოგახსენებთ, ახლა კი დავიწყოთ თავიდან.

ომის შემდეგი პერიოდი ეკონომიკურად ძალიან მძიმე იყო. ჩვენ ხუთი და-ძმანი ვიყავით (ორი ძმა და სამი და). უფროსი ძმის გარდა ყველა საშუალო სკოლაში ვსწავლობდით. 1946 წელს, მშობლების ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ, ჩვენ მარტონი დავრჩით დიდი პრობლემების პირისპირ. ყველას, განურჩევლად ყველას უჭირდა, ჩვენს ყოფას კი სიტყვა „გაჭირვება“ ოდნავაც კი ვერ გამოხატავს. ჩვენ უფრო ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მივცურავდით და ბედს მინდობილები იმედით ვცოცხლობდით.

1948 წელს მეხუთე კლასში ვსწავლობდი. იმ დროს თბილისშიც ნამდვილი ზამთარი იცოდა, მკაცრი და თოვლიანი. ბევრჯერ გამომიცდია ჩემ თავზე „ყინვა და პატარა მოწაფის“ ეპიზოდი. ჩემ მოსაცმელს, რომელსაც ერთ დროს ქურთუკი ერქვა, გაშრობა არა და არ უნდოდა, სულ ნესტიანი იყო, რადგან სახლშიც ციოდა და სკოლაშიც. ერთადერთი ღუმელი, რომელიც სამასწავლებლოს კედელში იყო ჩამონტაჟებული, რას გაათბობდა ამხელა სკოლას. მე ყოველ შესვენებაზე გავრბოდი და ზურგით თბილ კედელს ვეყრდნობოდი, რომ ცოტათი მაინც გამეშრო ნესტიანი „ქურთუკყოფილი“. მასწავლებლები გულმოწყალედ მიყურებდნენ, მაგრამ იმათაც ხომ ძალიან უჭირდათ.

ერთხელ, როდესაც მორიგ შესვენებაზე ღუმელის თბილ კედელზე ვიყავი აკრული, მომიახლოვდა ჩვენი სიმღერისა და ხატვის მასწავლებელი, ვერიკო გოგიაშვილი, თავზე ხელი გადამისვა და მითხრა, რომ ხუთი გაკვეთილის შემდეგ სამასწავლებლოს კარებთან დავლოდებოდი.

ქალბატონი ვერიკო ძალიან თბილი და ალერსიანი მასწავლებელი იყო. იგი მარტო სიმღერას კი არა, ერთმანეთთან ურთიერთობას, ერთმანეთის სიყვარულსა და პატივისცემას გვასწავლიდა. მისგან გავიგე პირველად გამოთქმა: „მოიქეცი ისე, როგორც შენ გინდა მოგექცნენ“. შესანიშნავად იცოდა საქართველოს ისტორია. ისე საინტერესოდ, ჩუმი ხმით გვიყვებოდა ისტორიულ მოვლენებს, ცნობილი ადამიანების ბიოგრაფიებს, რომ ბავშვები პირდაღებული ვუსმენდით. გვიყვარდა მის გაკვეთილზე ჯდომა. ვიცოდით, რომ მუსიკალური განათლება მოსკოვში ჰქონდა მიღებული, ჰყავდა პატარა გოგო, რომელსაც მეუღლის გარეშე ზრდიდა. აგროვებდა ხალხურ სიმღერებს, ლექსებსა თუ გამოთქმებს, უყვარდა სამშობლო და ჩვენც ამ სიყვარულს გვინერგავდა.

ხუთი გაკვეთილის შემდეგ ჩავედი სამასწავლებლოს კართან და ვნახე, რომ ქალბატონ ვერიკოს ჩემ გარდა კიდევ ოთხი ბიჭი ელოდებოდა – ზოგი ჩემი პარალელური კლასიდან, ზოგიც სხვადასხვა კლასიდან ამორჩეული ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფი ბავშვები: ანზორ ბიბილაშვილი, ნოდარ კვანტალიანი, გიორგი თხინვალელი და გივი ვაჩირიძე. ყველა ერთმანეთზე უარესად, ეგზოტიკურად ჩაცმული, ზოგს ფეხსაცმლიდან თითიც კი გვიჩანდა. არც ერთმა არ ვიცოდით, რისთვის დაგვიბარა მასწავლებელმა.

დიდხანს ლოდინი არ დაგვჭირებია. გამოვიდა ქალბატონი ვერიკო, ალერსიანი თვალებით ყველას ცალ-ცალკე შემოგვხედა,



*ქალბატონი ვერიკო გოგიაშვილი მოსწავლეებთან ერთად: ანზორ ბიბილაშვილი, ავთო ჩხიკვაძე, ნოდარ კვანტალიანი, გიორგი თხინვალელი, გივი ვაჩირიძე*

მოგვეფერა, აბა, წავედითო – გვითხრა და გავყევით.

ქუჩაში გავედით. იანვრის ძალზე სუსხიანი დღე იყო. ძველი, დახეული ყურებიანი ქუდი იღლიაში მქონდა ამოჩრილი, რადგან მასწავლებლის წინაშე ქუდის დაფარებას როგორ გავბედავდი. ქალბატონმა ვერიკომ ძალით ჩამომაცვა თავზე ქუდი და ალერსიანი ხმით მითხრა, რომ არ მომეხადა.

ცოტა ხანში თბილისის ცენტრალურ უნივერმაღს მივადექით, რომელიც კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის წინ, ეხლანდელი „თიბისი ბანკის“ შენობაში იყო განთავსებული.

ქალბატონმა ვერიკომ მთელი უნივერმაღი მოგვატარა, რადგან თბილი ფეხსაცმლით დაწყებული, ქუდით დამთავრებული – ყველაფერი გვიყიდა. ცალ-ცალკე გვაზომებდა თითოეულს ჩასაცმელს, შარვალი იქნებოდა ეს თუ პიჯაკი, პერანგი თუ პალტო, ტრუსები, მაისურები, წინდები და სხვ. არც ცხვირსახოცი და პიონერის ყელსახვევი დავიწყებია.

საყიდლებს რომ მოვრჩით, წაგვიყვანა თავის პატარა, ერთსართულიან სახლში, რომელიც ნაძალადევში, ცისარტყელას ქუჩაზე მდებარეობდა (აკი ცისარტყელასავით გამოჩნდა ქალბატონი ვერიკო ჩვენს მოღრუბლულ ცაზე; მას შემდეგ, როცა ცისარტყელას დავინახავ, მაშინვე დაუვიწყარი დღე მახსენდება). წყლის გასაცხელებლად დიდი ქვაბი ცეცხლზე დადგა და ვიდრე წყალი გაცხელდებოდა, ხუთივეს თმა შეგვაჭრა, შეგვისწორა; წყალიც გაცხელდა, ძველი ტანსაცმელი გაგვხადა, დაგვბანა, ახალ ტანსაცმელში გამოგვაწყო, გვასადილა და გაგვიშვა სახლებში.

სახლში რომ მივედი, ჩემი უფროსი და, ნათელა დამხვდა. ასე გამოწყობილი რომ დამინახა, შეცბა, იფიქრა, ბავშვმა რაიმე ცუდი საქციელი ხომ არ ჩაიდინაო. მე მოვუყევი ყველაფერი. მან სასწრაფოდ ჩაიცვა და წამიყვანა ქალბატონ ვერიკოსთან. მათი შეხვედრის მხოლოდ ერთი სცენა ჩამებეჭდა თავში: ორივე იჯდა კედლიდან დაშვებულ ფარდაგგადაფარებულ ტახტზე, ხელები ერთმანეთის მუხლებზე ედოთ და ცრემლებით ტიროდნენ. ეს სცენა რომ მახსენდება, ეხლაც კი თვალები ცრემლით მევსება. დღეს კი, ცრემლი თვალებში ვეღარ დაეტია, გადმოგორდა, კიდევ გადმოგორდა, ლოყები დამისველა და წერა შემაწყვეტინა...

ხშირად გონებაში გამიელვებს ხოლმე კითხვა: ქალბატონ ვერიკოს ეს უანგარო სიკეთე რომ არ გაეკეთებინა, ჩვენი ხუთეულიდან ყველა მივაღწევდით თუ არა გაზაფხულამდე? ეს მართლა საკითხავია.

რამდენიმე წლის შემდეგ ქალბატონი ვერიკო იძულებული გახდა სკოლიდან წასულიყო, რადგან მხედველობა დაკარგა (ერთ თვალში ჰქონდა დარჩენილი მხედველობის მხოლოდ 15%) და ვეღარ შეძლო სკოლაში მუშაობა, მაგრამ ამ ტრაგედიამ სულიერად ვერ გატეხა. მე არ ვიცი, როგორ ახერხებდა უამრავი ისტორიული მასალის თუ ნივთის შეგროვებას, ის კი ვიცი, რომ თავის მშობლიურ სოფელ მეჯვრისხევში (გორის რაიონი) გახსნა ანასტასია ერისთავი-ხოშტარიას სახელობის შესანიშნავი მუზეუმი. ამავე დროს, სოფლის ბიბლიოთეკას გადასცა თავისი საკუთარი რამდენიმე ათასი წიგნი.

ქალბატონმა ვერიკომ ცხოვრება სიკეთის თესვაში გაატარა. გარდაიცვალა 67 წლის ასაკში 1981 წელს. მისი გარდაცვალებიდან 30 წელი სრულდება და მინდა, ამ წერილით ერთხელ კიდევ გავიხსენო ჩემი საყვარელი მასწავლებელი, თქვენ კი გაგაცნოთ პიროვნება, რომელსაც უზომოდ უყვარდა თავისი სამშობლო, თავისი საქმე და თავისი ხალხი.

1964 წელს, როცა უკვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტში ლაბორანტად ვმუშაობდი, ქალბატონ ვერიკოს დაბადებიდან 50 წლის იუბილე გადაუხადეს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში. წინა დღეს ჩემი ყოფილი სკოლიდან ორმა მასწავლებელმა მომაკითხა და გადმომცა ქალბატონი ვერიკოს თხოვნა – გამოვსულიყავი მის იუბილეზე მისასალმებელი სიტყვით. თანხმობა მივეცი, მადლობაც გადავუხადე და რადგან დრო ძალიან ცოტა მქონდა, მაშინვე დავიწყე ფიქრი წარმოსათქმელი სიტყვის მონახაზზე. მაგრამ თითქოს, თვითონ ქალბატონი ვერიკო მკარნახობდა, უცებ, ჩემ გარეშე, ჩემი ხელით დაიწერა ეს მისალმება:

ღამის ბინდია, თუ დღე კაშკაშა,
ზამთარია თუ გაზაფხულია,
როცა ჩავუვლი ჩემ სკოლის კედლებს,
გამოვიცვლები იმ წამს სრულიად.

მომაგონდება ბავშვობის ხანა,
ყველაზე ტკბილი რომ არის ახლა,
საფეხურებად დაწყობილ წლებზე
როგორ ნელ-ნელა ვიწევდით მაღლა.

იყო შიმშილი, იყო სიცივეც,
იყო იმედიც, ახლაც რომ არის
იმ სამიათას ცხრაასი დღიდან
მე ერთი დღე მაქვს მოსაგონარი.

დღე ზამთრის ყინვით, სუსხით მოსული
ბობოქრობდა და იმუქრებოდა;
იცოდა ყველამ, შენთან სკოლაში,
ხუთი ობოლი რომ იზრდებოდა.

ხედავდი იმათ ნამდვილ ვაებას,
თითქოს, თვალთაგან ცრემლი გცვიოდა,
ტანზე არ ეცვათ თბილად პატარებს,
უცქეროდი და შენცა გციოდა.

მაშინ მოხვიე ხუთივეს ხელი,
თბილად ჩააცვი, თბილად დახურე.
მშობლიურ გრძნობით გაუთბე გული
და სიყვარული დაიმსახურე.

ეხლა კი მისმენ იმ ხუთიდან ერთს.
მაგრამ არა სთქვა – ნეტავ მაშინო,
ჟამთა სწრაფმა სვლამ, ჭაღარა თმებმა,
უსინათლობამ არ შეგაშინოს.

მე ეგ ჭაღარა მყინვარს მაგონებს,
წლებს შენ თმებზედაც დაუთოვია,
თვალთა სინათლემ თუ მიგატოვა,
შენზე ძვირფასი სხვა უპოვია?

ზეცას შევხსენით შვიდივე კარი,
ჩანს ახალი გზის მკრთალი ხედები,
უსინათლობა შენ რას დაგაკლებს,
უიმისოდაც შორს იხედები.

გაცრეცილ ფურცლებს ფრთები შეასხი,
ბევრ საიდუმლოს ფარდა ახადე,
და ჰა! ვუცქერით იმ ნათელ სურათს,
რაც მადლიანი ხელით დახატე.

ვალის გადახდა არ მიფიქრია,
იმ ვალს მოვიხდი ხალხის წინაშე,
მომავლის საქმეს ვემსახურები,
ვიდრე მიდგია თვალში სინათლე.

ახალ ცხოვრების მშენებლობაზე.
ხარაჩოებზე ამაყად მდგარი,
ერთის მაგივრად ორ აგურს დავდებ,
რომ ერთი იყოს ვერიკოს ვალი.

თქვენ კი გისურვებთ პატივცემულო,
კვლავაც ნათელი გზებით იაროთ,
ნება მიბოძეთ გადაგეხვიო,
ჩემო ძვირფასო იუბილარო.

დავამთავრე მისალმება, მივედი ქალბატონ ვერიკოსთან და გადავეხვიე. მან კი ძალიან, ძალიან მაგრად ჩამიკრა გულში და ორივე ავტირდით. გადმოვხედე დარბაზს და დავინახე, რომ პირველი ორი რიგი, სადაც ჩემი ყოფილი მასწავლებლები ისხდნენ, ტიროდა. ატირდა დარბაზიც და ცრემლით დასველებული ხელებით დაკრული ტაშით დააჯილდოვა სიკეთის გაკვეთილის ავტორი.

ასე იყო მაშინ.

ნეტავ ეხლა როგორ არის?

ხომ არ შეგვეტანა განათლების პროგრამაში – **სიკეთის გაკვეთილები?**

***ავთო ჩხიკვაძე***
*ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი*

## ინფორმაცია

საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** უახლესი სისტემებით აღჭურვილი სასერვერო ოთახი დაათვალიერა, საიდანაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები, მთელი საქართველოს მასშტაბით, საატესტატო გამოცდების მიმდინარეობას ვიდეოგამოსახულების საშუალებით აკვირდებოდნენ.

მონაცემთა დამუშავების ცენტრი უზრუნველყოფს გამოთვლითი და დამხმარე აპარატურის (სერვერები, ქსელური აპარატურა, შემნახველი მოწყობილობები) შეუფერხებელ და უსაფრთხო ფუნქციონირებას, რაც, თავის მხრივ, მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნასა და მისი ცენტრალიზებული მართვის საშუალებას იძლევა.

სკოლებში IT ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით, მთელი საქართველოს მასშტაბით, შეირჩა საინფორმაციო ტექნოლოგიების 300-მდე სპეციალისტი და გადანაწილდა 1520 საგამოცდო სკოლაში. ყველა შერჩეულმა კანდიდატმა საგამოცდო სკოლებში ლოკალური ქსელისა და საჭირო აპარატურის მონტაჟი უზრუნველყო.

ცენტრალურ სერვერში მიმდინარე გამოცდების შესახებ თავმოყრილი ინფორმაცია გამოცდების წარმატებულად მიმდინარეობის საშუალებას იძლეოდა. რაც შეეხება მოსწავლეთა დამოკიდებულებას დავალებებისა და საგამოცდო პროცესის მიმართ, მათ მიერ გაკეთებული შეფასებებით – ტესტური დავალებები საკმაოდ მარტივი და მათთვის ადვილად დასაძლევი იყო.

აღსანიშნავია, რომ არაქართულენოვანი მოსწავლეები ქართული ენის გამოცდაზე მაღალ შეფასებებს იღებენ.



დამხმარე სასწავლო მასალა

# სწავლება თავშექცევით

რამდენიმე წელია წიგნის მაღაზიის თაროებზე მყარად დაიმკვიდრეს ადგილი **ვიოლეტა კვირიკაშვილის** სახალისო შეკითხვების კრებულებმა: **„სკუპ-სკუპით სკოლისაკენ“, „პატარა ინტელექტუალი 1, 2, 3“, „ინტელექტუალი I, II“**. წიგნებით მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, იმოგზაურონ ცოდნის სამყაროში, გაიფართოონ თვალსაწიერი და დაუსრულებლად ეძიონ პასუხი ახალსა და შეუცნობელზე. კრებულები დიდ ინტერესს აღძრავენ მეცნიერების თითქმის ყველა დარგში (მშობლიური ენა და ლიტერატურა, ისტორია, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, რელიგია...) თითოეული სფერო 100 კითხვისგან შედგება და განსაკუთრებული სიმბოლოთია აღნიშნული. პასუხები შესაბამისი სიმბოლოკით შეკითხვების უკანა მხარესაა მოცემული.

როდესაც ბავშვი 10 გვერდს გაივლის, ანუ 100 შეკითხვას გასცემს პასუხს, უკანა გვერდზე თვითონვე ამოწმებს საკუთარი პასუხის სისწორეს და იწყებს მიღებული ქულების დათვლას. შემდგენელი ითვალისწინებს მოზარდების განსხვავებული ცოდნის დონეს და გონებრივ შესაძლებლობებს. გულნაკლულს არავის ტოვებს: 100 შეკითხვის შემდეგ ყოველ მათგანს ელოდება მიღებული ქულების შესაბამისი წამახალისებელი ჯილდო.

გაცემულ პასუხებში ვლინდება და ყალიბდება ბავშვის ალღო, ცოდნის დონე, მიხვედრის და დამოუკიდებელი, ლოგიკური აზროვნების უნარი, მისი კრიტიკული დამოკიდებულება საკუთარი თავის მიმართ. ის ხომ თვითონ აფასებს საკუთარი პასუხების სისწორეს და თვითონვე წყვეტს, თუ რა ჯილდო დაიმსახურა. ეს ხერხი მეტად საინტერესოს ხდის ბავშვის შემოქმედებით საქმიანობას, უნერგავს გამარჯვების სიხარულს, ასწავლის მიზნისკენ სწრაფვას, აჩვევს გამძლეობას, ასწავლის ძიების გზებს.

„სახალისო შეკითხვები“ ძუნწი დახასიათებაა წიგნის შინაარსისა და ღირებულებებისა. ეს არის დიდი ცოდნისა და ზღვა ინფორმაციის მიმცემი, მრავალი კარგი თვისების ჩამნერგავი თამაში.

შეკითხვები ოსტატობით, ნათლად და მარტივად არის დასმული. აქ არ არის ერთფეროვნება: ყველა შეკითხვა არ საჭიროებს პირდაპირ პასუხს, მათი ნაწილი მოზარდისგან დაკვირვების უნარს, ლოგიკურ აზროვნებას და მიხვედრილობას მოითხოვს. ბევრია იუმორი.

განუზომელი შრომაა გაწეული. რა შინაარსის შეკითხვა გინდათ, რომ არ იყოს აქ! კრებულს თამამად შეიძლება ეწოდოს ახლებური მეთოდიკით შედგენილი საბავშვო ენციკლოპედია გეოგრაფიაში, ისტორიაში, ბიოლოგიასა თუ ხელოვნებაში.

ეს არის მიგნება, თუ როგორ მოვახდინოთ ბავშვის ყურადღების მობილიზება ამა თუ იმ მიმართულებით. ეს არის დამოუკიდებლად და საღად მოაზროვნე ადამიანის ჩამოყალიბების ერთ-ერთი საუკეთესო გზა.

კომპლექტი შედგება 6 წიგნისგან. თითოეული მათგანი დამუშავებულია შესაბამისი ასაკის ბავშვის ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით, კლასების შესაბამისად.

წიგნები გამოიცემა 2005 წლიდან, როგორც დამხმარე სასწავლო მასალა და თანაბარი წარმატებით გამოიყენება საბავშვო ბაღებში, სკოლებსა და ოჯახებში ინდივიდუალური ან ჯგუფური მეცადინეობისათვის. პედაგოგები მათ თანაბარი წარმატებით იყენებენ სოციალურად დაუცველ, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებთან და მცირეწლოვან დამნაშავეებთან მუშაობისას სასჯელაღსრულების დაწესებულებებშიც. წიგნები პოპულარობით სარგებლობენ აგრეთვე საზღვარგარეთ მცხოვრებ პატარა ქართველებში (საინგილო, ფერეიდანი, საბერძნეთი, ნიუ იორკისა და ვაშინგტონის საკვირაო სკოლები...), კრებულები მოწონებულია საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის მიერ. ავტორს წიგნებისათვის მინიჭებული აქვს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია.

თითოეული მათგანის ღირებულებაა 5 ლარი. შეძენა შეიძლება როგორც კომპლექტის, ისე ცალკეული წიგნის სახით.

**გთავაზობთ შეკითხვების ნიმუშებს:**

## „პატარა ინტელექტუალი 2“-დან
## 9–10 წლის ბავშვებისთვის

**1. ეტლმა, რომელშიც შებმული იყო 4 ცხენი, გაიარა 24 კმ. რამდენი კილომეტრი გაიარა თითოეულმა ცხენმა?**

**2. რას გულისხმობს პოეტი ნათქვამში: „ტყემალი გამოსულა პერანგის ამარა“?**

**3. რა არის ქრისტიანისთვის უპირველესი და აუცილებელი?**
იცოდეს გალობა, იყოს მონათლული, იცოდეს უცხო ენები.

**4. საით უნდა გაჰყვე ბილიკს, თუ გზა აგებნა?**

**5. ვინ იგონებს ცეკვის მოძრაობებს და დგამს ცეკვებს?**
ქორეოგრაფი, ქორმაისტერი, სცენარისტი, რეჟისორი.

**6. რას „ამტკიცებს“ ცხვირი?**
თანამოსაუბრის ნათქვამს, კანონს, თეორემას.

**7. რამდენი შეუსაბამობაა?**
რაჭულმა მამალმა იმერეთისა და ხევსურეთის საზღვარზე კვერცხი დადო. ვის ეკუთვნის კვერცხი – ხევსურეთს თუ იმერეთს?

**8. წინაპართა რომელი სანუკვარი სურვილია გამოხატული ქართულ მისალმება-დამშვიდობებაში?**

**9. სად დაასახლა უფალმა პირველი ადამიანები?**
ქოხში, სამოთხეში, გამოქვაბულში.

**10. რისი გადახდა არ შეიძლება?**
ბოდიშის, ვალის, მადლობის.

**11. შეიძლება თუ არა ოთხკუთხედს ვუწოდოთ კვადრატი, თუ მისი ოთხივე გვერდი ტოლია?**

**12. რა სიტყვას მალავს შიგპასუხა?**
„მახურავს და მაცვია ტანზე მისი ნაცვამი,
მისგან მოწვდილ ტკბილ სასმელს შევატანე ნამცხვარი“.

**13. ავტომანქანა „ჯიპის“ რომელი თვალი არ ბრუნავს გზატკეცილზე მოძრაობის დროს?**

**14. რის ნაკლებობას არ უჩივის არასდროს ადამიანი?**
ქონების, ფულის, ძალ-ღონის, ჭკუის.

**15. სად შოულობს ობობა ქსელისათვის საჭირო ძაფებს?**
ბუნებაში, თვითონ აქვს მუცელში, ელიავას ბაზრობაზე.

## „პატარა ინტელექტუალი 3“-დან
## 10–11 წლის ბავშვებისთვის

**1. რომელი მცენარის მოსავლის აღებას უკავშირდება ივლისის ძველ-ქართული სახელი „მკათათვე“?**
სიმინდის, ხორბლის, კარტოფილის.

**2. რომელია ზედმეტი?**
ზერელედ, მიფუჩეჩებულად, უგულოდ, უამხანაგოდ.

**3. შეარჩიე წყვილი, სადაც არის „ნაწილი-მთელი“:**
იმერეთი-საქართველო, ქართლი-კახეთი, დღე-სინათლე, ცეცხლი-ნავთი.

**4. რა ჰქვია კახეთის ყველაზე მაღალ მთას?**
ცივი, გრილი, თბილი, ნელთბილი.

**5. მოცემული ლათინური სიტყვებით ააწყვე წინადადება: „წინწაუსვლელობა არის უკუსვლა“.**
რეგრედი ესტ ნონ პროგრედი.

**5. რამდენი გამოცანაა: „მამა – დაგრეხილი, დედა – დაჭყლეტილი, შვილი – გადარეული“?**

**7. რამდენი პასუხი შეიძლება ჰქონდეს ამოცანას?**
ლადოსა და მარის შორის სხვაობა 9 წელია. რამდენი წლისაა მარი, თუ ლადო 16 წლისაა?

**8. ვისი სიტყვებია: „ეძებეთ და იპოვით, დააკაკუნეთ და გაგიღებენ!“**

**9. მუსიკოსის მამის შვილი მხატვარია. რა არიან ერთმანეთისთვის მხატვარი და მუსიკოსი?**

**10. რომელი წარწერა ამშვენებს საქართველოს გერბს?**
„ძალა ერთობაშია“, „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“, „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

**11. რას გულისხმობს პოეტი ნათქვამში: „მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი“?**
ცოდნას, ქონებას, მამულს.

**12. რას იტყვის მეფრინველე?**
21 ფრთა მყავს, 21 სული მყავს, 21 კომლი მყავს.

## „ინტელექტუალი I“-დან
## 12–13 წლის მოზარდებისთვის

**1. რომელია განსაზღვრების სინონიმი?**
ეპითეტი, შედარება, ჰიპერბოლა, მეტაფორა.

**2. რა ჰქვია კომბოსტოს ან თალგამის ნაყოფს?**
ბუკიოტი, ბუ, ჭოტი, ძერა.

**3. რა ჰქვია დიდ ისტორიულ მონაკვეთს?**
ეპოქა, ერა, სტადია, პერიოდი, ხანა.

**4. რომელი მათგანი შეისწავლის ზეპირმეტყველების კანონებს?**
ფონეტიკა, ორთოგრაფია, ორთოპედია, პუნქტუაცია.

**5. რა ჰქვია ფრინველის ნაზ, მოხდენილ სიარულს?**
როკვა, გოგვა, ირაო, ბაჯბაღი, რონინი.

**6. რას ნახავს რომში ჩასული ტურისტი?**
აია სოფიას ტაძარს, ელისეს მინდვრებს, კაპიტოლიუმს.

**7. სად მოახდინა მაცხოვარმა პირველი სასწაული?**
ტაძარში, ქორწილში, ზღვაში.

**8. რომელი სიმებიანი ინსტრუმენტია გამოსახული ძველ ეგვიპტურ ნახატებში?**
ვიოლინო, არფა, როიალი, კონტრაბასი.

**9. რამდენი ადამიანია ჩამონათვალში: ვასკო და გამა, ლეონარდო და ვინჩი, ტრისტან და იზოლდა?**

**10. სპორტის რომელ სახეობაშია განსხვავებული სიმაღლის ბადეები ქალებისა და კაცებისათვის?**
ფრენბურთში, ჩოგბურთში, კალათბურთში, ფეხბურთში.

**11. სუნთქავენ თუ არა ფრინველები ფრენის დროს?**

**12. რომელ ლითონს იყენებენ ქირურგიაში სისხლძარღვების გასაკერად?**
ოქროს, ტანტალს, პლატინას, სპინლენძს, ფოლადს.

**13. რა ჰქვია მხატვრის ფუნჯს?**
ყალამი, ჩალამი, კალამი, წალამი.

**14. შეიძლება თუ არა კომპასის მეშვეობით მიწისქვეშა რკინის მადნის აღმოჩენა?**

**15. რომელი უცხოური ფირმა აწარმოებს მობილურ ტელეფონებს?**
კოლტი, ადიდასი, მოტოროლა, იამაჰა.

## „ინტელექტუალი II“-დან
## 14–15 წლის მოზარდებისთვის

**1. ქართველთა რომელ ბრძოლაში იხილეს გაცხადებულად წმ. გიორგი?**
ბაზალეთის, დიდგორის, კრწანისის, შამქორის.

**2. ვისი სადიდებელია „შენ ხარ ვენახი“?**
ვაზის, მარიამ ღვთისმშობლის, საქართველოსი.

**3. როგორ ჟღერს ლათინურად ოლიმპიური თამაშების დევიზი „უფრო სწრაფად, უფრო მაღლა, უფრო შორს“?**
1. იგნი ეტ ფერსო, 2. იგნოტუმ პერ იგნოტუს, 3. ციტიუს ალტიუს ფორტიუს.

**4. ლეგენდის თანახმად, რომელი ბარბაროსი მეფე დაკრძალეს მდინარე ტისას ფსკერზე?**
არტური, ატილა, ფილიპე, ფერდინანდი.

**5. როგორი სამკუთხედის სიმაღლეები არ იკვეთება სამკუთხედის შიგნით?**
მართხკუთხა, ტოლფერდა, ტოლგვერდა, ბლაგვკუთხა.

**6. რომელი ზღვა არ არის გამოყოფილი ოკეანისგან და არ გააჩნია მუდმივი საზღვრები?**
ოხოტის, ბარენცის, სარგასის, ადრიატიკის.

**7. რა ეწოდება ჯერ კიდევ შეუმშრალ ბათქაშზე წასმული საღებავით შესრულებულ ნახატს?**
მოზაიკა, ვიტრაჟი, ფრესკა.

**8. სპორტის რომელი სახეობის სახელებია: ოკრიბულა, აფხაზური, კოლხური?**
კრივის, ჭადრაკის, ჭიდაობის, ცურვის.

**9. რომელმა ცხოველმა გადაარჩინა მუსულმანთა შემოსევის დროს ნეკრესის ეკლესია და იქ შეფარებული მოსახლეობა?**
ძაღლმა, ხარმა, ცხვარმა, ღორმა, მგელმა.

**10. რომელი უძველესი ანბანი შედგებოდა მხოლოდ თანხმოვნებისაგან?**
ფინიკიური, ბერძნული, ეგვიპტური.

**11. რომელი ვულკანის ამოფრქვევას ემსხვერპლა ქალაქი პომპეი?**
ეტნას, ვეზუვის, სტრომბოლის.

**12. რა ენაზე ლაპარაკობდა მაცხოვარი?**
არამეულზე, ივრითზე, არაბულზე, ფინიკიურზე.

**წიგნების შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით 20 ივნისამდე.**
**ვიოლეტა კვირიკაშვილი – ტელ.: 890 516175, 893 134881, ელფოსტა: violeta.kvirikashvili@yahoo.com**
**„ახალი განათლების“ რედაქცია – 890 958023; 958023.**
**შეკვეთის შემთხვევაში, წიგნს მიიღებთ ახალი სასწავლო წლის დასაწყისში – სექტემბერში**

C M Y K

საგანმანათლებლო კერა

# კონსტანტინე მკურნალის ვაჟთა კერძო გიმნაზია

ქუთაისში სწავლის პირობები განსაკუთრებით გაუარესდა 1907 წლიდან. 1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ მოწინავე ახალგაზრდობას ძალიან უჭირდა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ადამიანი პატრიოტული სულისკვეთებითა და კაცთმოყვარეობით სავსე, გამჭრიახი, საზოგადო საქმისათვის თავდადებული, კარგი ორგანიზატორი, ენერგიული მასწავლებელი – კონსტანტინე მკურნალი. ამ ბრწყინვალე პედაგოგმა, რომელიც თვალყურს ადევნებდა ახალგაზრდობის მძიმე მდგომარეობას, მათ უსაზღვრო წყურვილს სწავლისადმი, განიზრახა, რომ ქუთაისში გაეხსნა გიმნაზიის ტიპის საშუალო სასწავლებელი.

ბევრი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ კონსტანტინე მკურნალმა ამისათვის საჭირო ნებართვაც მიიღო.

სასწავლებლის გახსნისას თავიდანვე ორმა მთავარმა პრობლემამ იჩინა თავი: პირველი – სკოლის დირექტორის შერჩევა, მეორე კი – საჭირო ფინანსების გამონახვა. ამიტომ მან საინტერესო ხერხს მიმართა. ამ დროს ქუთაისში იყო მდიდარი ვაჭარი ალიოზ ეზიკაშვილი. ერთ-ერთ მის შვილს – სიმონს ახალდამთავრებული ჰქონდა მათემატიკური ფაკულტეტი. იგი არსად მსახურობდა და მამის კმაყოფაზე იყო.

კონსტანტინე მკურნალის გამჭრიახმა გონებამ ახალგაზრდა სიმონ ეზიკაშვილი ოსტატურად გამოიყენა თავისი მიზნის განსახორციელებლად. მან სიმონს შესთავაზა სასწავლებლის ხელმძღვანელობა დირექტორის უფლებით. სამაგიეროდ, მას სასწავლებლისათვის უნდა გაეწია ფინანსური დახმარება და უზრუნველეყო იგი შესაფერისი ბინით. გაწეულ ხარჯებს შემდგომში სწავლის ქირით აინაზღაურებდა. პირობა მიღებულ იქნა და საქმეს დაუყოვნებლივ შეუდგნენ.

აღნიშნული პირობების საფუძველზე, კონსტანტინე მკურნალის თაოსნობით, 1908 წელს ქუთაისში, თბილისის (ახლანდელი თამარ მეფის) ქუჩაზე, სადაც შემდეგში მოთავსებული იყო საგრენაჟო ქარხანა, გაიხსნა ახალი კერძო სასწავლებელი, ე. წ. „მკურნალის გიმნაზია“.

შენობა ორსართულიანი იყო, დიდი და კაპიტალური. ჰქონდა საკმაოდ მოზრდილი ორი ეზო – შენობის წინა და უკანა მხარეს. ამ ეზოში კიდევ ორი ორსართულიანი და ოროთახიანი ბინა იყო, 4 საკლასო ოთახით, სადაც დაწყებითი კლასების პირველი და მეორე ჯგუფები მეცადინეობდნენ.

„გიმნაზია“ დასაწყისისათვის ხუთკლასიანი იყო, შემდეგ რვაკლასიანად გადაკეთდა. მოსწავლეთა ფორმები უმნიშვნელოდ თუ განსხვავდებოდა გიმნაზიელთა ფორმებისაგან.

სასწავლებელი იმავე წელს დაკომპლექტდა სკოლისგარეთ დარჩენილი, ასაკგადაცილებული ახალგაზრდებით და მეცადინეობა დაიწყო კლასიკური გიმნაზიის პროგრამით. სწავლის გადასახადი უმნიშვნელო და ხელმისაწვდომი იყო მოსწავლეთა უმრავლესობისათვის. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის განათლების ფონდში დაცულია ასეთი ჩანაწერი: „1908 წელსვე გაიხსნა და დაკომპლექტდა პირველი კლასი და ახალგაზრდობა მიიღეს სათანადო გამოცდებით. შემდეგ წლებში გაიხსნა მე-7 და მე-8 კლასები“.

„მკურნალის სკოლამ“ ვერ მიიღო მისი ტიპის სხვა საშუალო სკოლების თანასწორი უფლებები, ვერ გახდა გიმნაზიის ტოლფასი სასწავლებელი. აქ სკოლადამთავრებულს არ ჰქონდა უფლება, უმაღლეს სასწავლებელში გაეგრძელებინა სწავლა. მაგრამ კონსტანტინე მკურნალის დაუდგრომელი მცდელობა ამ პრობლემასაც უმკლავდებოდა. ზოგ მოსწავლეს, ექსტერნის წესით, აბარებინებდა გამოცდებს ანაპისა და როსტოვის გიმნაზიებში, ხოლო ზოგს, ქუთაისის ქართული გიმნაზიის დამამთავრებელ კლასებში აგრძელებინებდა სწავლას. ამ გზით მან ბევრ ქართველ ახალგაზრდას შეუწყო ხელი უმაღლესი განათლების მიღებაში.

კონსტანტინე მკურნალი სკოლაში იღებდა ყველა სწავლის მსურველს, განურჩევლად ეროვნების, სოციალური მდგომარეობისა და პოლიტიკური აზროვნებისა. აქ ბევრ სწავლამოწყურებულ, სხვადასხვა სასწავლებლებიდან „მგლის ბილეთით“ გარიცხულ მოსწავლეებსაც იღებდნენ. ამან ბევრ მოწინავე, ნიჭიერ, დევნილ ახალგაზრდას მისცა საშუალება უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისა. მოსწავლეებიც, თავის მხრივ, აფასებდნენ „მკურნალის გიმნაზიას“ და ცდილობდნენ, კარგად ესწავლათ.






სასწავლებელს საშუალო განათლების მისაღებად ბევრი მსურველი ეტანებოდა. სკოლას გახსნისთანავე 600 ახალგაზრდა მოაწყდა და სამი წლის განმავლობაში მათი რიცხვი სწრაფად გაიზარდა.

კონსტანტინე მკურნალმა სასწავლებელში მიიწვია მაღალკვალიფიციური პედაგოგები: გიგო და ლეონ ნათაძეები, ტრიფონ ჯაფარიძე, ჯაჯუ ჯორჯიკია, დიმიტრი უზნაძე, სტეფანე კომპანიონი, გედეონ წერეთელი, მიხეილ ჩინჩალაძე, დომენდოს ქუთათელაძე, ბარნაბ პაპავა, სოლომონ მიქელაძე, პოლიკარპე იოსელიანი, ნადია ვასილიევა-ბუზოლლი, სოფიო ტკეციშვილი, ალექსანდრე თორაძე, ლადო დარჩიშვილი და სხვ. თითქმის ყველანი უმაღლესი განათლებით იყვნენ.

მოსწავლეებთან განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ალექსანდრე თორაძე, რომელიც აწყობდა რეფერატული ხასიათის მოხსენებებს, ლიტერატურულ დილებსა და გასამართლებებს. სასწავლებელში ხშირად იწვევდნენ ცნობილ მწერლებს. მკურნალის სკოლის მოსწავლეებს სასიამოვნო მოგონებად შემორჩათ აკაკი წერეთელთან შეხვედრა. მუზეუმის განათლების ფონდში დაცულია ლექსები, რომელიც მასწავლებელმა და მოსწავლეებმა მიუძღვნეს დიდ მგოსანს.

როგორც ცნობილია, 1908 წელს, ძმები შარაბიძეების ხელმძღვანელობით, ქუთაისში ჩამოყალიბდა 70 ქალ-ვაჟისაგან შემდგარი მომღერალთა გუნდი. რადგან მათ არ ჰქონდათ მუდმივი სარეპეტიციო ადგილი, მიუხედავად ბინის სივიწროვისა, ისინი „მკურნალის გიმნაზიამ“ შეიფარა. აკაკი წერეთლის ცნობილსა და გახმაურებულ იუბილეზე გუნდმა დიდებული კონცერტიც კი გამართა.

გარდა ამისა, კ. მკურნალი მოსწავლეებს ავალებდა, დასწრებოდნენ იმ დროს ქუთაისში ახლად გახსნილი სახალხო უნივერსიტეტის ლექციებს.

სასწავლებელში ლათინურ ენას ასწავლიდა მიხეილ ჩინჩალაძე. ეს საგანი ყოველდღე ისწავლებოდა და ძალიან რთულად ითვისებდნენ ახალგაზრდები. მიუხედავად ამ და სხვა სიძნელეებისა, მკურნალის სკოლაში მაშინდელ პირობებში მოწინავე, პროგრესული პედაგოგიური მეთოდებით უძღვებოდნენ სწავლა-აღზრდის საქმეს. ამიტომ აქ აღზრდილი მოსწავლე ახალგაზრდობა ვერ ეგუებოდა ქალაქის სხვა სკოლებში გამეფებულ ანტიდემოკრატიულ ატმოსფეროს.

1907 წელს, რეაქციის მძიმე პირობებში, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველად დანიშნულ იქნა გარუსებული გერმანელი რუდოლფი. ქართველთა მოძულეს არ მოსწონდა „მკურნალის გიმნაზიის“ არსებობა. მან მოახერხა კიდეც, რომ ამ სკოლისათვის საჭირო უფლებები არ მიეცათ. იგი ვერ იტანდა ქართველობას. აღიზიანებდა ქართული გიმნაზიის არსებობაც კი. მისი სიძულვილი მოგვიანებით, 1914 წელს, მთელი სიცხადით გამომჟღავნდა...

რუდოლფმა საერთოდ დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს სკოლებს და, ცხადია, აქედან გამომდინარე, მოსწავლე ახალგაზრდობასაც. სასწავლებლებში მან ანტიეროვნული, ანტისოციალური, უსულგულობის რეჟიმი გააბატონა. „მკურნალის გიმნაზიაც“ სწორედ მისი უსულგულობის მსხვერპლი გახდა.

სასწავლებელმა სამი წლის განმავლობაში ყოველგვარი ვალის გარეშე იარსება. საკუთარი ხარჯებით შეიძინა მთელი საჭირო ინვენტარი და მოწყობილობა: მერხები 500 მოსწავლისათვის, კარადები, მაგიდები, ფიზიკის პატარა კაბინეტი, მუსიკალური ინსტრუმენტები, რუკები, სურათები და სხვ. ცხადია, ეს არ იყო საკმარისი კარგად მოწყობილი სასწავლებლის არსებობისათვის. საჭირო იყო, სკოლას მთავრობისაგან ხელშეწყობა და მხარდაჭერა ჰქონოდა. მაგრამ პირიქით მოხდა და სამი წლის შემდეგ სასწავლებელში მოსწავლეთა კონტინგენტის შემცირება დაიწყო. მოსწავლეთა რიცხვი 250-ზე დავიდა.

„მკურნალის გიმნაზია“ უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეს ფაქტი საქალაქო პრესის ფურცლებზეც აისახა. ეწყობოდა კრებები, იყო მსჯელობა, მაგრამ ხსნა არსაიდან ჩანდა.

1912 წლის 18 ივლისს გაზეთი „კოლხიდა“ აქვეყნებს წერილს „ორიოდე სიტყვა მკურნალის გიმნაზიაზე“. წერილს ხელს აწერდა დეკანოზი ერმალოზ კანდელაკი. ავტორი მთელი გულისყურით აღწერს „მკურნალის გიმნაზიის“ მთელ სიკეთეს ახალგაზრდობისათვის და მოუწოდებს მოწინავე საზოგადოებას, რომ ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ გადაარჩინონ იგი დახურვას. ე. კანდელაკი თავის წერილს ასე ამთავრებდა: „ქუთაისში ერთ კერძო გიმნაზიას ვერ მოუარეს, მოსწავლე ახალგაზრდობა გონების დახშვის გზაზე უნდა დააყენონ? უფრო გასაკვირველი ისაა, რომ ადგილობრივი ინტელიგენცია სრულიად ყურს არ იბერტყავს ამისთანა გაჭირვების დროს!

ბევრს კიდევ არ დაუკარგავს იმედი, რომ ქალაქის მოურავი ბ. ჩიქოვანი, როგორც ენერგიული და მხნე კაცი, ამ საქმეს კვლავ შემოატრიალებს და თავს მოაბამს მკვიდრთა საკეთილდღეოდ“.

სასწავლებლის ხელმძღვანელობა, ოღონდ სკოლას სრული გიმნაზიის უფლება მოეპოვებინა და არ დახურულიყო, მთელ პასუხისმგებლობას კისრულობდა, რომ მოაგვარებდა ხარჯების საქმეს და ქალაქს არაფრის გაღება მოუწევდა. ხოლო მთელ უფლებებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა კონტინგენტის მიღებისას მას, ე. ი. ქალაქს უტოვებდა.

იმ დადგენილების ერთ-ერთი მუხლი, რომელიც სკოლამ მიიღო და ქუთაისის ხელმძღვანელობასაც წარუდგინეს, ასეთი იყო: „სასწავლებელი გადადის ქალაქის სრულ განკარგულებაში, ე. ი. ქალაქს უფლება აქვს დააყენოს თავისი გამგე, თვითონ შეადგინოს მასწავლებლების შტატი, როგორც მოისურვებს, შეცვალოს სასწავლებლის ტიპი“.

ასეთ მერყეობასა და ტანჯვა-წვალებაში გადიოდა დრო. „მკურნალის გიმნაზიაში“ მოსწავლეთა რიცხვი მცირდებოდა. მიუხედავად ამისა, მან 1918 წლამდე იარსება და ბევრი სანაქებო ახალგაზრდაც აღზარდა. „გიმნაზიის“ პირველი გამოშვება 1911 წელს მოხდა.

სასწავლებელი ამ წელს დაამთავრეს: ვლადიმერ თოხაძემ – შემდეგში მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად უნივერსიტეტის) ლექტორმა, გრიგოლ შანიძემ – თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ლათინური ენის მასწავლებელმა, აკაკი ბაქრაძემ – პროფესორმა, გინეკოლოგმა, ივანე ურუშაძემ – თბილისის ზოოვეტინსტიტუტის ენების კათედრის გამგემ და სხვ.

1910-1911 სასწავლო წლის განმავლობაში ამ გიმნაზიაში სწავლობდნენ: ტერენტი ყურაშვილი – ქუთაისის პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორი, შემდეგ სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამად უნივერსიტეტის) ლექტორი, ვასილ ოთხმეზური – დოცენტი, პაჭუ ჟორდანია, შალვა მაღლაკელიძე – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, გენერალი, დავით ლომაძე – ინჟინერი, უმაღლესი განათლება მიიღო ვენაში, ვლადიმერ ჯიქია – ცნობილი ინჟინერი და მრავალი სხვა.

კონსტანტინე მკურნალი ღარიბ მოსწავლეებს დახმარებას უწევდა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის სახელობის სტიპენდიების სახით, ზოგიერთს კი მთლიანად ათავისუფლებდა სწავლის ქირისაგან.

თითქმის ოთხი ათეული წლის მანძილზე, დევნისა და შევიწროების პირობებში, კონსტანტინე მკურნალი პირნათლად და ნაყოფიერად ემსახურებოდა დაწყებით სკოლებში სწავლა-აღზრდის გაუმჯობესების კეთილშობილურ საქმეს.

კონსტანტინე მკურნალი გარდაიცვალა 1919 წელს. დაკრძალულია ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე. 1965 წელს, თბილისში, მოეწყო „მკურნალის გიმნაზიის“ 1911 წლის კურსდამთავრებულთა შეხვედრა.

ცნობილი პედაგოგის სახელის უკვდავსაყოფად, მისი ყოფილი მოსწავლეების თხოვნით, ქუთაისის ერთ-ერთ ქუჩას მკურნალის სახელი ეწოდა, ხოლო კულაშის სკოლას მისი სახელი მიეკუთვნა. ნიკო ნიკოლაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „არაფერი ხდება უეცრად და უმიზეზოდ“...

**ლია გაბუნია**
*ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი*

**გურამ გაბუნია**
*სრული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერტსიტეტის საზოგადოებათმცოდნეობის ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის სრული პროფესორი*

# ცხოვრებისეული პრობლემები – წინა პლანზე!





ამ დღეებში, თბილისის დამოუკიდებელ სასწავლო უნივერსიტეტში, ჩატარდა პროფესორ-მასწავლებელთა სესია და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **ამირან მექვაბიშვილმა**.

სხდომას უძღვებოდა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი **ანზორ ბენიძე**.

კონფერენციის მონაწილეთა დიდი ინტერესი გამოიწვია უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ამირან მექვაბიშვილის მოხსენებამ თემაზე – „ცოლ-ქმრული ურთიერთპატივისცემა ოჯახის სიმტკიცის საფუძველი“.

გულგრილად არ ჩაუვლია პროფესორ **ხვთისავარ არჩემაშვილის** მოხსენებას „დაჩქარდეს მთის კანონის სრულყოფა და მიღება“.

დამაჯერებელი იყო პროფესორ **თამარ გელაშვილის** მოხსენების თემა – „მენეჯმენტი და სამეწარმეო გარემო“. შესანიშნავი თემები წარმოადგინეს, ქალბატონ თამარ გელაშვილის ხელმძღვანელობით, ფინანსების სპეციალობის სტუდენტებმა: **ინდირა კვირკველიამ, ნინო ტრაპაიძემ, ანა ჯელაძემ**. საინტერესოდ საუბრობდა დავით ალმაშენებელზე ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტი **თამარ ჩოხელი** (ხელმძღვანელი – პროფესორი **გული დარცმელია**), ასევე, საინტერესოდ წარდგნენ აუდიტორიის წინაშე მაგისტრანტები **თამარ ჯობავა** (თემა – „მხარეთა უფლება-მოვალეობები ფრენშაიზინგის ხელშეკრულებაში“) და **გივი ბეროშვილი** (თემა – „ქორწინების სირთულეები“); კონფერენციის მონაწილეთა ინტერესი გამოიწვია სამართალმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტის, **თენგიზ ტარიელაშვილის** გამოსვლამ (თემა – „ადამიანთა ტრეფიკინგი სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით“; ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი **მაიზერ ჩანქსელიანი**).

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ანზორ ბენიძემ. მან ყურადღება გაამახვილა წარმოდგენილი თემების აქტუალობაზე და შემდგომი წარმატებები უსურვა კონფერენციის მონაწილეებს.

***ლია ხმალაძე***
*რექტორი თანაშემწე*

**სპორტი**

# უნივერსიადა ექვატორს გასცდა

„რომპეტროლ-უნივერსიადა 2011“ დასასრულს უახლოვდება. შეჯიბრებები გაიმართა სამბოში, ჭადრაკსა და ჩოგბურთში.

სამბისტთა შეჯიბრებას სამბოს სასახლემ უმასპინძლა, რომელიც ცოტა ხნის წინ გადაეცათ რუსული ჭიდაობის მიმდევრებს და მართლაც დიდი შენაძენია სპორტის ამ სახეობისთვის. სამბისტებმა იქაურობა საკუთარი ძალებით შეაფასეს და დღეს დედაქალაქში ერთ-ერთი საუკეთესო დარბაზი მათ მოეპოვებათ.

სამბო, ძიუდო და ქართული ჭიდაობა მჭიდროდ „თანამშრომლობენ“ – ბევრი საზიარო სპორტსმენი ჰყავთ და გამონაკლისი არც ეს შეჯიბრება ყოფილა, სადაც ისეთებსაც მრავლად შეხვდებოდით, იაპონურ და ქართულ ჭიდაობებში რომ დაუგდიათ სახელი. ცხადია, იყვნენ სამბოს ახალგაზრდულ ტურნირებში სახელმოხვეჭილნიც. ახალგაზრდებში გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონმა, ახმეტელმა **ვახტანგ სარაჯიშვილმა** (82), რომელიც უნივერსიადაზე თელავის უნივერსიტეტს წარმოადგენდა. ფინალში მან თანარაიონელი, სტუ-ს სტუდენტი **ლაშა ყიზილაშვილი** დაამარცხა, რომელიც ძიუდოისტთა ოჯახის წარმომადგენელია – მისი უფროსი ძმებიც ჭიდაობდნენ და ერთი ეროვნული ნაკრების წევრიც იყო, ამჟამად კი კანადაშია. ძლიერი შემადგენლობა მოგროვდა 57კგ-შიც. უნივერსიადაზე 52 კილოგრამში შეჯიბრება არ ტარდებოდა, რის გამოც იქაურებმაც 57-ში მოიყარეს თავი. ამდენად, იქ ახალგაზრდა სამბისტთა შორის ევროპისა და მსოფლიო მედალოსნები – ქუთაისელი **გენადი ჩირგაძე** და თბილისელი **გივი ნადარეიშვილი** (სტუ) ასპარეზობდნენ, თუმცა საჩემპიონო გვირგვინს ვერც ერთი შეწვდა – აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტმა **ზურაბ ქიზიყელაშვილმა** გაიმარჯვა. ვერცხლი ჩირგაძემ მოიპოვა, ბრინჯაო – ნადარეიშვილმა. ასევე ახალგაზრდა სამბისტთა შორის ევროპის ჩემპიონმა **ზაზა დავაძემ** (90) უპრობლემოდ გაიმარჯვა და დაამტკიცა ამ წონაში თავისი ფავორიტობა. ისიც ძიუდოისტია და ფინალში ასევე ძიუდოისტი **ბეთქილ ნავერიანი** დაამარცხა. კიდევ ერთი სახელგანთქმული ძიუდოისტი, ვინც სამბოში გამოვიდა, გორელი **დავით კარბელაშვილია**, თუმცა მან ამჯერად ზედა წონაში – 100-ში იჭიდავა. ალბათ, ამას უნდა მივაწეროთ ფინალში მისი მარცხი **ირაკლი ქობლიანიძესთან** (ილიას უნივერსიტეტი). სხვა წონებში გაიმარჯვეს: **იაკობ გაზდელიანმა** (62; აგრარული), **შმაგი კაპანაძემ** (68; გორი), **მიხეილ გიორგაძემ** (74; გორი) და **არჩილ საღინაძემ** (+100; ქუთაისი). გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი გორის სასწავლო უნივერსიტეტის გუნდი აღმოჩნდა 36 ქულით. მეორეზე 32-ქულიანი აგრარული უნივერსიტეტი გავიდა, მესამეზე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 25 ქულით.

მოჭადრაკეთა ასპარეზობას ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თბილისის ჭადრაკის სასახლემ უმასპინძლა. გოგონათა შორის 6 ქულით **ნინო კეკელიძემ** იმარჯვა (აგრარული). ვერცხლი თსუ-ს სტუდენტმა **მადონა ბოკუჩავამ** მოიპოვა 5,5 ქულით. ამდენივე დააგროვა, მაგრამ მესამეზე დარჩა **ეკა გოგლიძე** (გორი). ვაჟებში საუკეთესო **ირაკლი ჯანიაშვილი** აღმოჩნდა 6,5 ქულით (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი). მას ნახევარი ქულით ჩამორჩა **გაიოზ ნიგალიძე** ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, მესამეზე კი **არჩილ ამირხანაშვილი** (თსუ) გავიდა 5 ქულით.

ჩოგბურთელთა ტურნირს ვერის ბაღის კორტებმა უმასპინძლა. ვაჟებში **გიორგი ხმიადაშვილმა** გაიმარჯვა გრიგოლ ფერაძის სახელობის უნივერსიტეტიდან. მეორეზე სამედიცინოს წარმომადგენელი **ბიძინა ამაშუკელი** გავიდა, მესამეზე – **ალექსანდრე თავხელიძე** სტუ-დან. გოგოებში **გვანცა სუქნიძემ** იმარჯვა ილიას უნივერსიტეტიდან, მომდევნო ადგილებზე კი თსუ-ს სტუდენტები გავიდნენ ასეთი თანმიმდევრობით – **თამარ თოდუა** და **მარიამ ჭანტურია**.

სადღეისოდ, უნივერსიადის პროგრამაში შეტანილი სპორტის 20 სახეობიდან 14-ში ასპარეზობები უკვე დამთავრდა. შეიცვალა ლიდერიც საერთო გუნდურ ჩათვლაში – სტუ-ს ანგარიშზე კვლავაც ყველაზე მეტი მედალია, მაგრამ ოქროების რაოდენობით უკვე ილიას უნივერსიტეტმა გადაუსწრო და ლიდერობაც ჩაიბარა. ილიას უნივერსიტეტის ანგარიშზე 30 ჯილდოა, აქედან 11 ოქრო, 9 ვერცხლი და 10 ბრინჯაოა. სტუ-ელთა მონაგარი 36 მედალია – 10 ოქრო, 13-13 ვერცხლ-ბრინჯაო. მესამე ადგილზე აგრარული უნივერსიტეტია 27 ჯილდოთი, რომლებიც ხარისხების მიხედვით ასეა განაწილებული – 8, 5, 14.




# ანა ტატიშვილი უიმბლდონისთვის ემზადება



საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი, ახალგაზრდა **ანა ტატიშვილი** უიმბლდონის ღია პირველობისთვის ემზადება. ამჟამად ბრიტანეთშია და ბალახისსაფარიან კორტებზე ცდის ძალებს, ამ დღეებში ნოტინგემში ითამაშებს. ტატიშვილი მსოფლიოს კლასიფიკაციაში 106-ე ადგილზეა და მშვენიერ შანსს ინარჩუნებს, ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვოს. მან უკვე მიაღწია ერთ გამორჩეულ წარმატებას – მაისის დასაწყისში საფრანგეთის ღია პირველობაზე – „როლან გაროსზე“ ითამაშა. 21-ე საუკუნეში ეს პირველი შემთხვევაა, როცა ქართველი ჩოგბურთელი „დიდი მუზარადის“ რომელიმე ტურნირში მოხვდა, ტატიშვილი კი იქ პირდაპირ ბადეში გავიდა, საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშე. მაშინ ის მალევე გავარდა, თუმცა გვარიანად იბრძოლა და მე-11 ნომრად განთესილ კორტის მასპინძელ **მარიონ ბარტოლის** ერთი სეტიც კი მოუგო. აღსანიშნავია, რომ მაშინ „როლან გაროსზე“ გამოსვლის პერსპექტივის გამო მან საქართველოს ნაკრებში „დევისის თასზე“ თამაში იუარა, თუმცა მის ამ გადაწყვეტილებას ფედერაციაც გაგებით მოეკიდა და ქომაგიც – ჩოგბურთელი არავის გაუკრიტიკებია. მაშინ ქულების დაგროვებაზე რომ არ ეზრუნა, იქნებ, ვერც ეთამაშა პარიზში. იმედია, ჩვენებური არც ლონდონში შეირცხვენს თავს და რაც შეიძლება მალე შევა ასეულში, რაც ოლიმპიურ ლიცენზიას მოუტანს.

*რუბრიკას უძღვება*
***ირაკლი თავაძე***

# „ახალი განათლების“ წიგნის თარო

## სიახლე!




### მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია

პირველად საქართველოში, მსოფლიოს ისტორიიის ენციკლოპედია გლობალურ კონტექსტში, უნიკალური ილუსტრაციებით, რუკებითა და ფოტომასალით.

ეს წიგნი თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე და ერთადერთი ქართული გამოცემაა, რომელშიც მკითხველი გაეცნობა უამრავ საკვირველ და თანაც ნამდვილ ამბებს ადამიანებზე, ქვეყნებსა თუ მოვლენებზე, რომელთა წყალობითაც შეიქმნა ის მრავალფეროვანი სამყარო, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ.

ეს წიგნი დაგეხმარებათ სხვადასხვა ქვეყნის ისტორიულ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პროექტებზე მუშაობისას, რადგან აქ მსოფლიოს ისტორიის თითოეული ეტაპი ამა თუ იმ ქვეყანასთან, კონტინენტებთან მიმართებაში დაწვრილებით, თემატურადაა განხილული – დასაბამიდან დღემდე – ქვის ხანის ადამიანებიდან რუსეთ-საქართველოს ომით დამთავრებული.

წიგნი გამოცემულია უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე და მთელ მსოფიოში უნიკალურ სამაგიდე წიგნადაა აღიარებული.

ზომა: A4, 496 გვერდი, მაგარ ყდაში, სუპერგარეკნით.

---

### საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია

წიგნში მოცემულია 1000-ზე მეტი ფერადი ილუსტრაცია. გაეცნობით ძუძუმწოვრების, ფრინველების, ქვეწარმავლების, ამფიბიების, ობობების და სხვა უხერხემლოების შესახებ ბევრ საინტერესო ინფორმაციას. წიგნი შედგენილია ექსპერტთა ჯგუფის მიერ.




---




### ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია

მოიცავს ყველა ძირითად ეტაპს ხელოვნებაში, რენესანსიდან დაწყებული XX საუკუნის მასკულტურით დამთავრებული. ტექსტითა და უხვი ილუსტრაციებით, მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის დიდ მხატვრებსა და ხელოვნებაში ახალ მიმდინარეობებზე. კონკრეტული მხატვრების ნამუშევრები ანალიტიკურ მოდულებშია გამოყოფილი, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს უფრო საფუძვლიანად გაეცნოს და დააფასოს მათი უაღრესად მრავალფეროვანი ტექნიკა. წიგნში მოთხრობილია ხელოვნებაში წლების წინ დამკვიდრებული თემებისა და ჟანრების შესახებ, როგორიცაა შიშველი ფიგურა, ნატურმორტი, პეიზაჟი, ქალაქური ცხოვრება და სხვ.

---

**ვაცნობიერებთ რა ამ ენციკლოპედიების მნიშვნელობას სკოლებისა და პედაგოგებისთვის გთავაზობთ გრანდიოზულ ფასდაკლებას:**

მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია – 35 ლარი
საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია – 26 ლარი
ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია – 30 ლარი

---

**ხელმოწერის თანხა უნდა ჩარიცხოთ 30 ივნისამდე**

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
95 80 23; 890 95 80 23; 877 13 22 83.

---

**ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:**

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კLBRTGE22, ა/აGE93LB0113314052305000

## შემოგვიერთდით!

### სიახლე!

გამოვიდა „მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების“ სერიიდან სამი ახალი ტომი:

ფიოდორ დოსტოევსკი – „მკვდარი სახლის ჩანაწერები“
სტენდალი – „წითელი და შავი“
შოდერლო დე ლაკლო – „სახიფათო კავშირები“

**„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“**
ერთი ტომი – 12 ლარი



**„რა არის რა“** ერთი ტომი – 11 ლარი



ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტებია:
საქართველოს ბანკი
ბ/კ BAGAGE22,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

C M Y K